


ՀԱՅՐԱԶՈՒՅՑ





უტრნალ „ჯეჯილისა“

I	ლექსი — შ. მღვიმელისა	3
II	ქუდოვანი (მოთხრობა) — ვაჟა-ფშაველასი	5
III	გაზაფხული ლექსი — გ. ციმაკურიძისა	27
IV	ქალაქელი ძამია (შემდეგი) — ვანოსი	28
V	ქრისტეს პერანგი (კვართი) — გ. წყაღტუბუღისა	39
VI	გაზაფხული ლექსი — ი. ჯაგაზიძისა	42
VII	ფიზიოლოგიური წერილები (წერილი მეორე) — ივ. გომაროელისა	44
VIII	ხელიკი — თ. კანდელაკისა	48
IX	საკვირველებანი ბუნებისა № 14 კინქარი — ჯაფარი ალნია-შვილისა	56
X	ზნარეული იგაეი — ალ. მ — შვილისა	58
XI	სტუმარი და ქოფაკი იგაეი — ალ. მ — შვილისა	59
XII	წერილმანი: ხალხური ლექსები, აკროსტიხები, შაირები და რებუსი	60



თანახმათ მათი ყოვლად უსამღვდელოესობის საქართველოს ეგზარქოსის დამტკიცებისა, თფილისის საეპარქიო რჩევამ, 17 ოკტომბერს, გადაწყვიტა ქართული საემაწვილო უტრნალი „ჯეჯილი“ საქართველოს ეპარქიის სამრევლო სკოლებში მიღებულ იქმნას სახმარებლათ.





საქმეა წვილო ნახატებიანი

ეურნალი

იზარდე, მწვანე ჯეფილო.
დაპურდი, გახდი ყანაო!..
ო. დ.


№ IV

წალიწალი მესხეა

თფილისი

ბეჭდვა ბ. დ. როტინანცისა ||| Тш. М. Д. Ротинана. Гол. ар., д. № 41.
1898.

Дозволено цензурою Тифлисъ, 16-го Апрѣля 1898 гола.



* * *

ოთხი ჩამოდნა მთებშია
სწევტაკ მთა-გორათ ქცეული;
ზვავიც ილევა ნელ-ნელა,
როგორც დიდი ხნის სწეული.

ორთქლი ავარდა მიწასა,
სითბო სცემს გაზაჟსულისა;
მდელომ დაიწყო მზადება
ტურფისა საძვკაულისა.

გადმოფრენილან მერცხლები
წელს უფრო ნაადრეულათ,
დამსხდარან მწკრივათ ხეებზე
და ჭიკჭიკობენ გრძნეულათ:

„მარტო, რაც უნდა იჯავრო
ველარ დაგვაკლებ ვერასო,
სითბო დააღნობს, გააქრობს
შენს გაცვივებულს კერასო.

უბრალოთ გვითვლი მუქარას
აზრილის ნასესხებითა,



მთა და მინდორი მოიწითო
 კიდევაც ვუბვილებითა.

—
 მზისა სსივები მათ გულ-მკერდს
 მსურვალეთ დასწაფებიან;
 დღეს რომ კუკურნათ მოსჩანან,
 სვალ ვარდათ გაიძლებიან.

—
 დაჭბურავს გრილი ნიაფი
 მალალი მთების უელისა,
 აბიბინდება მრავალ-ფრათ
 საუნჯე მინდორ-უელისა.

—
 გულის ფანცქალით გამოვა
 ზატარა ვრძათა კრებულდი...
 მათი სმა ტკბილი, სმა ნაზი,
 ნიაფთან შეერთებული,

—
 შორს მოედება მთას და ველს,
 სიმღერით, სიხარულითა,
 შენ გუდა-ნაბად აკრული
 წასვალ ნატკენი გულითა!“

შ. მღვიმელი.



ქ უ ლ ვ ა ნ ი.

(საბავშვო მოთხრობა)

სარდიონი ფრიად ამაჟი და თავმომწონე კაცი იყო. დიაბეგობა რომ მიიღო, მაშინ უფრო თავი მოიწონა; სწორეთ გაფხორილ მამალ ინდოურს დაემსგავსა. სარდიონმაც სხვა მოსელებს მიჭბაძა და წვერი მუაზე გაიყო, მოიპარსა. ხელობა ისეთი ებარა, რომ ძლიერ საჭირო იყო უველას ძიძი და კრძალვა ჭქონოდა მისი...

სარდიონი დიდი კაცი იყო და დიდ-კაცურბათაც ცხოვრებდა, სიძდიდრეც ჭქონდა, ძღვენიც ბლომათ მოსდიოდა; რა გინდა სულო და გულო, რომ იმის საკუჭნაოში არ მოიპოვებოდა: ერბოსი და უველის გულები, მსუქანი დედლები, ბატები, ინდაურები, გაფუფქული გოჭები და სხვ. და სხვ...

გასაფხულობით და საფხულობით ბაღიში განსვენებდა უვერდა: დიდ ნიგოზ ქვეშ იდგა სტოლი და მის ვკერდით იყო გამართული ტახტი ხალიჩა გადაფარებული; თუ ამინდი ხელს არ უძლიდა დილა-ხალამოთი დიაბეგი ჩაის აქ შეექცეოდა, აქვე ისადილებდა და აქვე წაიძინებდა ჩრდილ ქვეშ. ეს ხასიათი ჭქონდა. მოჩივრებსაც აქვე



მიიღებდა. ბედნიერი კაცი იყო სარდიონი და ბედნიერ-
თაც ჰგონებდა თავს; მაგრამ მის ბედნიერებამ დიდ ხანს
არ გასტანა. ვისი ბრალია? მე არ ვიცი, თქვენ თითონ
განსაჯეთ. ვიტყვი მხოლოდ, რომ საბაბათ კაჭკაჭის ქურდ-
ბაცაცობა განდა...

იქვე ბაღჩაში, ერთ ბებერ ჭერამზე კაჭკაჭმა ბუდე
გაიკეთა: შიგ სანძი კვერცხი ჩადო და სანძი ბლარტი გა-
მოჩეკა. როგორ უეზარდა კაჭკაჭს თავის შუკლები!.. რო-
გორ ეაღერებოდა, როგორ უფრთხილდებოდა, თავს ევ-
ლებოდა; გაფაციცებული აქეთ-იქით აწუდებოდა, რომ საზ-
რდო არ დაეკლო შვილებისათვის; რა წამს იშოვიდა რა-
სმე საჭმელს — მიუბეინებდა თავის ბლარტებს. უნდო-
და დაესუქებინა, დაემევენებინა შვილები, მაგრამ თან ეშინოდა
კიდევ, რომ ბუდე არავის შეენიშნა, ამიტომ როცა ბუდეში
იჯდა კრინტს არ დამრავდა და შვილებსაც კი უშლიდა:
ნუ ჟღერუტულებო! ისინი მანც თავისას არ იშლიდენ,
ასტეხდენ ერთ ყვილ-ხივილს როცა კი დაინახავდენ დე-
დას, რომელიც იმათთან ბრუნდებოდა ნანადირევით. სარდიო-
ნმა არ იცოდა კაჭკაჭის დასახლება მის ბაღჩაში, რადგან
იგი მაღლა არ აისედავდა, იმდენათ თავს არ შეიწუხებდა.
ისიც კარგათ იცოდა, რომ ღმერთი სწელობდა მანც და
მანც. მაშ რა საჭირო იყო მაღლა ცქერა? ხოლო კაჭ-
კაჭი ეველაფერს ჰხედავდა, რაც ბაღში ხდებოდა. ადევნებ-

და თვალს დიამბეგის ქეიფს და განცხრომას. რამდენჯერ მოსვლია კაჭკაჭს ჰირ წყალი, როცა დაუნახავს დიამბეგი ბატკნის ან ინდაურის კანჭის ხვრამი და უთქვამს თავისთვის: ახ, ნეტავი ჩემ შვილებს მოუტანაო!“ ერთხელ დილით, ჩაის შემდეგ, მსახური დიამბეგს საუზმეს უძინადებდა: გადაფინა სუფრას სტოლზე და მოიტანა დანა-ჩანგალი. ჰური, ეველი და გაბრუნდა სხვა სანოვავის მოსართმევათ. დიამბეგი ამ დროს გაფხორილი ხეივნის ქვეშ დასეირნობდა. კაჭკაჭმა დაინახა სუფრაზე ეველი და ჰური, სიმსუნაკემ სძლია და მასთან შვილების სიყვარულმა, ჩამოფრინდა, სტაცა კლანჭები ერთ ნაჭერ ეველს და მიუბრუნა თავის შვილებს. ბლარტებს ძალიან გაეხარდათ, იამათ, მაგრამ ვერ ეუფინათ. დედა ისევ გაფრინდა სხვა ნაჭრის მოსატანათ: ის იყო დაფრინდა ეველის ნაჭერს და დიამბეგმაც სწორეთ ამ დროს არ შეასწრო თვალი!

— სოსიკა, ზაქარა, ბერუა, თედუა! ევიროდა გაბრუნებული სარდიონი:— ბიჭო, ბიჭო, მოდი თქ! ჩქარა მოჩინო! არ გესმისო რომ გიბრძანებთ?!— და, ვიდრე ბიჭები იახლებოდნენ, დაუწყო თითონ ქვებსა და წიწკრებს სროლა რა დაინახა ჭერამზე ბუდე, შიგ ბლარტები და მათ კვერდით კაჭკაჭი, მისი ეველის ქურდი. დედა არ ინძრეოდა, ვერა სტოვებდა შვილებს, თუცა სარდიონის ნახროლი კენჭები ხან ბოლოში გაუბზრიალდებოდნენ, ხან მხრებში:— ჭაი, შე წეულო, შე შეჩვენებულო, — უვირო-

და დიამბეგო კაჭკაჭს: — ჩამოავდე ვველი, გიბმანებ ჩამოავდე!

დიდ კიზიროკიანი და ვეებერთელა კაკარდინი ქუდიც უკან კეფაზე ჰქონდა გადაწეული და ძალა-უნებურათ კადრულობდა მადლა ცქერას. რა კი ვერაფერი შეასმინა მიწიდან კაჭკაჭს, მოიწადინა მადლა ასვლა, აბობდდა ხეზე, ბიჭებს აღარ უცდიდა, უნდოდა თავის ხელით დაესაჯა თვისი შეურაცხმყოფელი.

საწეაღმა კაჭკაჭმა რა იცოდა თუ თავზე ასეთი უბედურება დაატყდებოდა?! რომ სცოდნოდა ახლო კი გაუკლიდა დიამბეგის სუფრას! არ ეგონა თუ ეწეინებოდა სარდიონს ვველის მოტაცება, რადგან იცოდა რომ სარდიონს ვველთაფერი ბევრი ჰქონდა და დიდი კაციც იყო. რას იკადრებდა კაჭკაჭის დასჯას ერთი ნაჭერი ვველის ვულისათვის!..

არ ეგონა, მაგრამ მოსტყუვდა. სარდიონი თითონ ვერ აბობდდა ხეზე, ჩამოვარდა დაბლა და კინაღამ თავ-პირიც დაიმტვრია, — უფრო ამასვე გაბრახდა. ან კი რას ავიდოდა ხეზე მისი ფაშვის ჰატრონი?!. ქმინავდა დიამბეგო, შუბლზე წურწურით ოფლი ჩამოსდიოდა ისე დაღალულიყო.

ღიაღაც არ ეგონა კაჭკაჭს თუ სარდიონი თავის დიდაცობას ამას აკადრებდა; ის ფიქრობდა, რომ დიამბეგო სულ-გრძელი იქნებოდა და როგორც თითონ ებრალებოდა თავის ბლარტები და უევარდა სარდიონიც ისე შეიბრალებდა. მაგრამ მოსტყუვდა.




— მოდით, მოეთრეთ ჩქარა, არ გესმისთ ჩემი ბრძანება, ბიჭო? უვიროდა სარდიონი: მოდით და როზგებიც მოიტანეთ თანა!! უნდოდა კაჭკაჭი და მისი ბღარტები გაეროზგა ჯერ და მერე გაეულიტა. ბიჭები მოცვივდენ.

— სადა ხართ თქვე მ...მ...ებო! დაუვირა იმათ სარდიონმა: არ გესმისთ, რომ გეძახით?!

— რა ვქნათ არ გაგვიგონია, ბატონო! მიუგეს მსახურება: რას გვიბრძანებთ?

— იმას გიბრძანებთ, რომ ახვიდეთ აგე, იქ, მაღლა, — უჩვენა დიამბეგმა თითით ბუდეზე: — ბუდე დაძალოთ, კაჭკაჭი და მისი ბღარტები ძე წარმომიდგინოთ: აბა, ჩქარა, მორჩით, ამ საათში. ვინმლო დედა ცოცხალი შეიძერათ!..

ბიჭები აცოცდენ ხეზე. კაჭკაჭს გააცივა და გააციხელა შიშისაგან. ვაიმე, ეს არის დაჟიდუჭეო. ამბობდა თაფისთვის. არც ტუუილათ. ბიჭები აცოცდენ. ერთმა მათგანმა ხელი ჩაჭეო ბუდეში, დედა-კაჭკაჭმა ჩაუნისკარტა და უკან წაადებინა ხელი. მეორე ბოლოში სწვდა კაჭკაჭსა, ამოიუვანა ბუდიდან, მაგრამ კაჭკაჭი გაუსხლტა და მიეგანა მეორე მის ამხანაგს, იმას კიდევაც ამოეუვანა ორი ბღარტი და ხელში აწრიპინებდა. დედა-კაჭკაჭი ხელებში ახტებოდა, ეტანებოდა ჟავილ-ხივილით... უცბათ ჩაფრინდა ისევ ბუდეში, იქ ერთი ბღარტი კიდევ ეგულეობდა, დასტაცა ფრთაში ნისკარტი და





აიტაცა მალა ტოტზე, დაჯდა იქ დაღონებული გულ-მოკლული და ადევნებდა თვალს თავის ბღარტების ბედსა.

— ვინმლო დედაც დაიჭიროთ, შეჭყვიროდა დაბლიდან დიამბეგი.

— საიდან? არ შეიძლება, ბატონო, იქ კაცი ვერ ავა. უჭასუსებდენ მალლიდან ბიჭები.

— მამ თოფით მოკვლა ხომ შეიძლება?! თოფი, თოფი, ჩქარა თოფი მანამ გაფრინდება! მოიუვანეთ ეგ ბღარტები აქა!..

დიამბეგის მსახური ჩამოხოსდა ხიდან და მიაწოდა ბღარტები დიამბეგს. იმან ორივე დაბლა დააწვევია და თან თავ-მომწონეთ კაჭკაჭს შეჭხედა... დასოცა ბღარტები. ამ დროს თოფიც მოაჩთვეს. დიამბეგმა თოფი დაუმიძინა და ჩახმახი დასხლიტა. კაჭკაჭი საფანტებმა ცოტათ ფრთაში და ბოლოზე გაკენწლა. მაგრამ შვილს, რომლის ვადარჩენაც უნდოდა, მოჭხვდა ერთი საფანტი და ისიც მოკვდა. მანც მკვდარს ჰირიდან არ უშვებდა. კაჭკაჭი აფრინდა და გაშორდა იქაურობას. მკვდარი შვილი წაიღო და შორს დობის ძირას დამალა. ისევ მალე დაბრუნდა. მთელი დღე, ვაი-ვაკლანით დაჭბრუნავდა თავს ბაღჩას, სადაც დახოცილი შვილები ეგულებოდა. ჭხედავს მალლიდან თავის მკვდარ ბღარტებს, ჭხედავს თავის ბუდეს დაშლილს და მოსთქვამს საბრალოთ. დიამბეგიც ისევ ბაღჩაში სჩანს. სწევკლის, ქქოლავს და ეუბნება: „რა დავი-

შავე ისეთი, შე წაწედედილო, რომ შეილები ამომიწევა-
 ტეო?!“ წავიდა დიამბევი თავის სახლში და კაჭკაჭმაც
 დრო ისეულთა, ორივე ბლარტი წაიღო იქიდან და საცა სხვა მკე-
 დარი ბლარტი დაძალა, იქ მიიტანა. იმ ღამეს შეილებთან
 იყო და მწარეთ დასტიროდა თავზე; მეტათ შეწუხებული
 და გულ-ნატკენი იყო. მოსთქვამდა და თან ჭფიქრობდა
 როგორ ამოეყარა სარდიონის ჯავრი... დილაზე მეფეს-
 თან წასვლა და ჩვილი განიზრახა. უნდა წავიდე შევჩი-
 ლო ჩვენს სელმწიფეს ჩემი უბედურება. რის მეფეა თუ კი
 თავის ქვეშევრდომს მფარველობას არ გაუწევს?.. რათ შევ-
 ხარით იმის ძლიერებას, რათა ჭქვიან იმას არწივი? ტყუი-
 ლი ყოფილა იმისი მეფობა თუ ახლა მე დიამბევის ჯავრს
 შემაჭმევს. არა მკონია, რო გაიგებს ჩემ დაღონებას,
 ჩემ ასე უსამართლოთ დასჯას, როგორ მრისხანეთ და-
 ატრიალებს თავის ღამაზე თვალებს, გაისწორებს მს-
 რებს და გადმოსწევს წინ გაუტყეულ გულის ფი-
 ცარს. ის მიშველის, ისა!.. უეტველათ მიშველის!.. უნდა
 ვაწნობო სხვა ბარის ფრინველთა დაწიოკებაც, — როგორ
 უსამართლოთ გვეჭეობიან კაცნი, — გემუსრავენ, რის გა-
 მოც ვეღარა ვმრავლდებით რომ გავამლიეროთ არწივის
 სამეფო... თუძცა შორს არის მისი სატახტო ქალაქი, —
 ერთ უხარ-მახარ, თოვლით გადალესილ მთაზე, სანით-
 სანამდე ვივლი, მანამ არ მივალ იმის სამფლობელოში...
 რა არის ძარტო ბარათ ყოყნა, ერთი მთის არე-მარესაც



ვისილები?! ამას ამბობდა კაჭკაჭი თაფისთვის და აპრობ-
და დილით მეფესთან საჩივრულათ წასვლას.

დილასე აღრიანათ შვილებს ზოგი ვაზისა, ზოგი კა-
კლის ფოთოლი მიაუარა. იტირა კარგა ხანს, გული მო-
იოხა და გაუდგა გზას. სოფლის ბოლოს მისი დეიდა-
შვილი მზე-ქალი შემოხვდა; დაღონების, მკსაფრობის ამ-
ბავი ჰკითხა. კაჭკაჭმა ევკლაფერი დაწვრილებით უამბო.
იმანაც მიუტირა უბედურება და აღუთქვა შემწეობა.

— ღმერთმა შეაჩვენოს ცისა და ქვეყნის დამაარსე-
ბელმა,—ამბობდა მზე-ქალი: —შენსე და შენ შვილებსე რა
ვაჟკაცობას იჩენდა თუ ის კაცია და კაცობისა რამ აც-
ხია?! ღმერთმა შენი დაღონებისათ ნუ რა კარგი და კე-
თილი აჩვენოს. რას გემართლებოდა ის წყეულ შეჩვენე-
ბული რომ აგრე დაუღუპინარ?! ნუ გემინია, წადი იჩივ-
ვლე, წადი! ჩვენ მეფეს არ ესამოფნება ეგ ამბავი და
ჯავრსაც ამოკერის შენი დამღონებლისას. მეც ვეცდები
შევაგულიანო და გავაქმნევო ფრინველნი სარდიონის წი-
ნააღმდეგ

გამოემშვიდობენ ეთმანერთს და თავ-თავის გზასე
წავიდენ. კაჭკაჭმა ბეფრი იფრინა, დაილალა და მდინარის
პირათ დასვენება მოუნდა... მდინარე წინართ მოკამ-
კამებდა..

— რა არი, რამ დაგადონა, დობილო?! დაეკითხა მდი-
ნარე კაჭკაჭს: შენ წინათაც ბევრჯელ მინახავნარ მუდამ

გახარებული და კალაღებული. არ ვიცი ახლა რა დავ-
მართნია!.. სჩანს უბედურება რამ შეკმთხვევია?!..

— უბედურება მეტი ღა იქნება!.. დიამბეგმა დამ-
ღუპა, დობილო, დიამბეგმა, დაღუპოს ის ღმერთმა: ამო-
მიწევიტა შვილები და სახლ-კარიც დამინგრიას; ამიკლო,
ერთი სიტყვით ამიკლო!..

— მე იმის ბაღჩას და ბოსტნეულსა ვრწევაჲ, მიუგო
მას მდინარემ:— კარგათ გხედავდი როცა შენ ბუღეს აკეთე-
ბდი ჭერამზე. ვიცი როგორც ან ბლარტები გამოსჩეკე, —
სამი ბლარტი გუაგდა.

— ჭო, დობილო, ჭოო, მართალია! მიუგო მას კაჭ-
კაჭმა:— დღეს ერთიც აღარა მუავს ცოცხალი.

— განა არა, მაშინვე ვამბობდი, რომ შენ ხეირს ვე-
რნა ნახავდი დიამბეგის ბაღჩაში, ამბობდა მდინარე: — გა-
ნა ჩემი ძალიან ძადლობელია თუძცა მისი ბაღჩა და ბა-
ღეულობა ჩემგანა ჭეუავის, ჩემგან არის მწვანეთ გადაღა-
ნებული. ცუდი კაცია, გულ-ღრმე, უძადლო, ალბათ დაუ-
მავე კიდეც რამე.

— ჩემი დანაშაული ის არის, ერთი უველის ნაჭერი
მოვჭარე, დობილო, ერთათ ერთი, ჰაწაწკინტელა. — მიუგო
კაჭკაჭმა.

— ეგ ხომ მეც ვიცი, მაშინ მე ვარდებისა და იასა-
მანის გვერდზე მოვწანწკარებდი. სხვა აღარაფერი ვიცი.
ერთი ნაჭერი უველის გულისათვის როგორ წავახდინე იმ



უღმერთომ?! რა კი აგრეა, შენ ნუ გეშინია, მე ამოგური-
დიაძბეგის ჯაგრსა. ერთი ჩემებურათ ავდიდდები, ვეცემი-
იმის ბედეულ-მარანს, სარდაფს და სულ ველათ გავიტან,
გავაბრებ და გავატიალებ.

— მიშველე, მიშველე, შენი ჭირიძე, ერთი სიკეთე მი-
უვაი. ესვეწებოდან კაჭკაჭი: შვილებს აღარც კი მოვი-
გონებ თუ სარდიონს დაღონებულს ვნახავ. ახლა მე
საჩივლელათ ჩვენ მეფესთან მ ვლიჯარ და შენც მოემ-
სადე.

— უსათუოთ, უსათუოთ! მეც კული მეღრინება დიამ-
ბეგზე. — სთქვა მდინარემ.

კაჭკაჭი გამოემძვიდობა მდინარეს და გასწია თავის
გზაზე. ცოტა მანძილი რომ გაიარა, ველი გამოჩნდა. ველზე
დანიანს თავგუთა აუარებელი გუნდი, მოდიოდა მწეობრათ
ქვილ-ხვილით, დაფ-ნაღარის ცემითა. თავგუთა ფარას
სოკი წინ მოუძღვებოდა როკვა-ცეკვითა. კაჭკაჭი მიხვდა
რაც ამბავი იყო; თავგებს ქორწილი ჰქონდათ; რამდენიმე
ნაცნობი თავგი გამოუჩნდა, თითონ მეფე კაჭკაჭის კარგი
ნაცნობი და მეგობარი გამოდგა. ღვინო შევატიყეს... რა
გაეწეობოდა? იმანაც დალია, მეფე დედოფალი ადღეგრძე-
ლა. მკსავრობის მიხედავით ჰკითხეს, კაჭკაჭმა ეველაფერი
დაწვრილებით უამბო.

— ჰბი, ის წვეულ-შეჩვენებული, — იმასოდენ თავგები:
კრიჟანგია, ცუდი კაცია. მაგის ენას ერთ თავსავს ვერ

ჩამორჩება ჩვენგანი ვერავინ. ათეულებს ერთ ღამეს არ დასტოვებს კარში, მაშინვე კალოზე მიაბრებინებს, მაგრამ იქაც ვესტუმრებით სოლმე. ის სტუმრობა არაფერი, ახლა გვიუროს რა სერი დავაწიოთ, ჯერ ერთი ქორწილი მოვათაოთ. — სთქვეს თავებმა.

— თქვენ გენაცვალეთ, თავს შემოგველეთ, როგორც თქვენი იმედი მქონდეს, ისე გაისარჯეთ! — ესვეწებოდა კაჭკაჭი.

— გავისარჯოთო? გავირჯებით კი არა ერთ ღამეს დავეცემით და სულ ბღღვირსა და ნაცარ-ტუტას ავღენთ. რაც სახლში რამ ებადება სულ ჩაჭვრით და ჩავექმსავთ...

კამოემშვიდობა იმთავც და წაჟიდა. გზა-გზა ეველას, ვინც კი შეჭსკდა, თავის ამბავი უამბო. კითხულობდა აგრეთვე მეფის სატანტო ქალაქს. გაგონილი ჰქონდა, შორიდანაც ჰხედავდა, მაგრამ რაკი ტყეებს და მთებს გაეკიდა, გზას კაჭკაჭი ველარ იცნებდა. ერთ მთის ფერდობზე, ტყეში, ერთ დიდ თელის ხმელ ტოტზე მერბდანიანა, კაბურძკულ-გახეხილი იჯდა და დაბლა ავლებდა რაღაცას თვალს.

— გამარჯობა, ძერიკო! შეუძანა შორი-ახლოდან კაჭკაჭმა.

— ჰა? ვინა ხარ? რა სულიერი ხარ? შეახერხ თვალები მერამ და გაოცებულნი შეცქერდა.

— გამარჯობას გუებნები და ბოდიშს კი არ იხდი?

როგორ არ მიცნობ ვინცა ვარ? ბარათ არსად ვინახავარ? მიუგო კაჭკაჭმა.

— ჭმ, ჭმ! სთქვა მერამ: — გაგიძარჯოს, გაგიძარჯოს! აქ რას დასეტყალებ ამ მთა-ღრეებში, რატომ ვენახებში არა სჭრიალებ? — სთქვა დაცინვის კილოთი მერამ და თან თავი მადლა აიღო, ეკლი მოიღერა თავ-მომწონეთ.

— უბედურება მასეტებს, მერიკო, უბედურება. ხომ გაგიგონია: გაჭირება მიჩვენე გაქცევას გიჩვენებო.

— რა გაგჭირებია ისეთი რომ აქეთ გადმოვარდნილხარ? კაჭკაჭმა იმასაც უამბო თავისი უბედურება, ეგონა იმისაგანაც თანა-გრძნობას გამოიწვევდა, მაგრამ მოსტეუვდა.


— შენ ვითომ იმას ჭფიქრობ, მეფე უნდა აამხედრო დიამბეკსე შენი ღლაპების გულისათვის?! ვინ მიგიძვებს, შე უბედურო მეფესთან, სულ ტყავს გაკადრობენ! თუ არ დაგიძლია ჩვენი მეფე ახლა მთიდან ბარათ წამოვა, არა? არ უფარგნია დიამბეკს თორემ შენც უნდა სედ მიეყოლებინე. თქვენგან ამოგდებულა ბარი, განა არ გიცნობთ რა შვილებიცა ბმანდებით. მინამ ჰატრონი იკემებს ხილებს თქვენ ჩამოჭნობავთ და დასტოვებთ კაცს ცარიელს, თქვე არამზადებო თქვენა! ახლა მთაში წამოსულხარ გინდა აქაურობაც აიკლო?!. ასე გაგიხდი საქმეს, შენი ცოდვით სულ ქვა იწვოდეს!

— ოჭო, ბატონ ჩემს გაუძარჯოს! შე ტვიპებიანო

შენა, განა შენ სხვას უნდა უკაჟინებდე ავ-ხნეობას? შენ რაღა ბედელ-მარნები კიდევას სავსე? შენც ისე არა სცხ იფრობ რომ როგორც სხვა ფრინველები? ჩვენი წესი ეს არის: თუ კაცს რასმე ვაწებთ და ვაზარალებთ—ას იმოდენასა ვრგებთ კიდევაც: რამდენ მავნე მწერს, ჭიას და სხვა ქვეწარმომავალთა ვჟლეტავთ, რომელნიც კაცისათვის მავნე ბელნი არიან. არა, მეც ჭკუა გამოძლევა, რომ შენ საუბარი გავიბი: ჯერ თავისათვის უნდა იყო, შემდეგ სხვასაც არგო. თავისათვის არა ხარ სხვას რას არგებ?! მაგ ჭკუით დაბერდი, მაგ ჭკუით საცოდავო, საწყალო! სთქვა კაჭკაჭმა და კაუღვა გზას.

— საწყალო და ქურდო!— მიაძახა უკანიდან მერამ, აფრინდა და მედიდურათ დაიწყო ტრიალი, შორიდან არწივი ეკონებოდა კაცსა.

მეორე დღეს დილა ადრიან განისმა თოვლიანი მთის არე-მარეებში კაჭკაჭის ჭრიალი; კაჭკაჭის უნახავ კაცს ეკონებოდა მთაში ურემი ამოუტანიათ და ისა ჭრიალებსო. გაოცებული შეჭყურებდა კაჭკაჭი ამ დიდრთნ კლდეებს, ჩაღრმავებულ ხევეებს, ზვავეებით სავსეთა. ალაგ-ალაგ, სადაც გამშრალიყო, მწვანე ბალახს ეჩინა თავი. იგი ამ ბალახებს ვერ იცნობდა, ბარათ არ ენახა: ბუერა, შუხვა, დიუი, ბრძამი და სხვ. გაოცებით შეჭყურებდა რაჭოების და შურთსების გუნდსა. ლამაზი ფრინველები ეოფილანო, ამბობდა თავისთვის კაჭკაჭი, მაგრამ ჩვენებურ სობობს



ვერა სჯობიან სილამაზითაო. როჭები და შურთხებიც გა-
ოცებით შეჭურებდენ კაჭკაჭს, არ ენახათ არა დროს და
სიცილით იხოცებოდენ მის ხმაზე, კაჭკაჭის ჭრიალზე...
კაჭკაჭი ახლო იყო მეფის საბძანებელზე. აგერ დაინახა
კიდევაც სხვა კლდეებზე დიდი და ძაღლი კლდე: შავათ
იუწრებოდა და სულ ძაღლა რაღაც რუხათ, (ლევა) მოს-
ჩანდა... ამ დროს კაკანით ჰირ-აღმა მორბენალი კაკაბი
შეეფეთა წინ კაჭკაჭს.

— ვინა ხარ, სადაური ხარ, ადამიანო? ჰკითხა მან:
საიდან მოხულხარ?

— ბაზიდან გიხსელით, დობილო, — მიუგო კაჭკაჭმა;
მეფის ნახვა მინდა. სწორეთ არ ვიცი სად მოვმეზნო! მა-
სწავლე შენი შვილების ლხენასა.

— რატომაც არ გასწავლი, რა ხვეწნა გინდა? — უთხრა
მას კაკაბმა: — იმ დიდ შავ კლდეს ხომ ჰხედავ? კარგათ
დააცქერდი!

— ვხედავ, ვხედავ! მიუგო კაჭკაჭმა.

— ჰხედავ ზედ კლდის წვერზე, ძაღლა შავათ რომ
მოსჩანს?

— ვხედავ, როგორ არა, კარგათ ვხედავ.

— თუ ჰხედავ ისა ბძანდება თვით მეფე. რა საქმეზე
კარჯილხარ? — ჰკითხა კაკაბმა ბოლოს დროს.

— მაქვს საჩივარი მეფესთან. — კაჭკაჭმა უამბო იმასაც
თავის უბედურება.

— ჩვენ საჩივარს კი არ იღებს, დობილო, და არ-
ვიცი შენ რას გიზამს. — სთქვა კაკაბმა.

— როგორ, თქვენცა გაქვსთ რამე საჩივარი მეფეს-
თან? — ჰკითხა კვალთ კაჭკაჭმა.

— ჩვენც თუ აღარ გვაქვს მამ სხვას ვის ექნება? — მიუ-
გო კაკაბმა.

— თქვენ რაღასა სჩივით?

— იმას, რომ მთის ქორები, შავარდნები და სხვანი
მუსრს გვაულებენ, გვქლეტავენ. მე რა გიუოთო, მეფე ამას
გვიზასუხებს: მამ რით იცხოვროს ჩემმა ლაშქარმაო?! არ
ვიცი, იქნება შენი საჩივარი შეიწყნაროს.

კაჭკაჭმა ჰირდაჰირ გასწია და შორიდანვე ამცნო თა-
ვისი მისვლა ხმაურობით. არწივი მედიდურათ ბრძანდე-
ბოდა ტახტსე, დინჯათ ასწია თავს მალლა და თვალები
გარშემო მიავლ-მოავლო. კაჭკაჭმა დიდი მოწიწებით
სალამი მიართვა. მეფემ ნება დართო და ისიც მის ჰირ-
დაჰირ კლდის „კინჭუსსე“ ჩამოჯდა. არწივმა კარგა ხანს
ხმა არ გასცა.

— რაო? რა ამბავია, ჭრილაჲ? — ჰკითხა ბოლოს არწივი.

— თქვენი სიცოცხლე და დღეგრძელობა, დიკებულო
მეფეო! — სთქვა კაჭკაჭმა: — თქვენთან გიხსელით, ვიცი თქვე-
ნი მეფური გულის ამბავი, რომ არ დამტოვებთ უნუკე-
პოთ და მომცემთ შემწეობას... ჯერ საერთოთ ბარის ფრინ-



ველები დახატულნი ვართ კაცთაგან: გვაწიოკებენ, გვღვე-
ნიან და სე სომ დინამებმა სარდიონმა ამიკლო, ამომიწ-
ვიოტა შვილები და მეცა მღვედა მოსაკლავათ.

— თუ ხკეთი შეწუსება ადგათ ბარის ფრინველთა,
რატომ არ მოდიან ჩემთან საჩივლელათ?.. შენ რაღა და-
უშავე დინამებს ისეთი, რომ მაგრე დაუწიოკებიხარ?

— არაფერი, შენი რისხვა არა მაქვს, მხოლოდ ერთი
ხაწაწკინტელა ეველის ნაჭერი მოვტაცე, შვალეები მესო-
ცებოდენ შიშპილითა, ისიც იმათ გულისთვის შევცდი...
სხვებისა რა მოგახსენოთ თავს შემოგველე, ალბათ ვერა
ჭბედვენ; თქვენი ხათრი და რიდი აქვთ. მეც რის ვაი ვა-
გლახით ვაფბეჟე თქვენი შეწუსება, — განა ადვილია მკუფის
წინაშე წადგომა და მისი თვალ-წარბში მსერა!.. შენ მძ-
ლავრ ნისკარტს და კლანჭებს ვენაცვალე, მეფე ბძანდები,
ჩვენი იბედი, ჩვენი ნუგეში, ვინძლო რომ ჩემი დახატვა
არ შეარჩინოთ იმ უსამართლოს. სამაგალითოთ დაჭს-
ჯოთ, რომ სხვამ ალარ ვაბედოს ფრინველების უდკოთოთ
ღვესა.

— კარგი, კარგი! დაუძახებ ჩემ ლაშქარს და დავეს-
ხმი თავსა. თუ მეფეს არ ეცოდინება ქვეშევრდომთა შე-
წუსება, მისი რა ბრალია რომ არ მიეშველოს. — სთქვა არ-
წივმა და ნისკარტით მარჯვენა მხარი გაისწორა.

არ გაუვლია დიდ-ხანს რომ მეფის ტახტის გარშემო
მოიწყო მოდენა ფრინველთა გუნდმა: სად იყო ამდენი

ფრინველი? ბევრს იმათგანს კაჭკაჭი ვერც კი იცნობს, სა-
სარელი, დიდრონი ტანისა არიან: უარჯირები, სოკები,
კფაშები, შავარდნები და სხვანი. ასტუდა მეფის საბძანე-
ბელში სასარელი ფრინველთა ეატუბტი, ჭაერი ზღვასავი-
თა ელავდა იმათ ბოლო-ფრთათა ტულაშა-ტელუშით. გაე-
კოთ მეფეს ვიდაც სტუმარი სწვევია ბარდიანაო. ვეელას
თითო რამ მოჭქონდა ბრჭყალებით მეფისთვის ძღვნათ.
ბევრმა იმათგანმაც ვერ იცნო კაჭკაჭი. არწივმა გამოუც-
ხადა იმათ სტუმრის მოსვლის მიხეზი და აგრეთვე ისიც,
რომ სვალისთვის სალაშქროთ მომხადებულიყვნ.

— მხათ იუავით სვალისთვის ეველანი, — სთქვა არწივმა
ზავთიანი და ბოხ-მაგვარის სმით: — უნდა დიამბეგი სარ-
დიონი დავლაშქროო... შეატეობენეთ ეველას ჩემი ბძანება.
ჩემ ქვეშევრდომს არავის დავაჩაკვრინებ მინამ ცოცხალი
ვარ.. და უამბო კაჭკაჭის უბედურება. ფრინველთ ერთხმით
თანხმობა გამოუცხადეს.

— რა ჯურის ფრინველია, ოსტატი, ეშმაკი რამ კი
უნდა იეოსო! — ჰკითხავდენ ერთმანეთს გავახები და შა-
ვარდნები.

— ჩვენ ვიცნობთ კარგა მაგას. ბარელია, ბარელი
ბევრჯელ ვადაურჩენივართ ფათერაკს. კაჭკაჭი ჰქვიან — ამ-
ბობდენ სოკები: — ლეშეე სშირათ გვესტუმრება და ჩვენთან
ერთათ შეექცევა. თუ ეკ იქ არის ადამიანი ადვილათ ვერ
მოგვეპარება სათოფეთ. ერთს დაიჭრიალებს და ეველას

ზეზე წამოგვძლის. ვნახავთ ბოლოს მადლიდან, რომ ფლატეში ან ჯავს უკან თოფიანი კაცია მიძალული. ძრიელ ფოჩადი და ფნიხელი ფრინველია.

— სქენა იეოს და კაცონება! სადილათ ეველანი ჩემთან უნდა იუვეთ,—და აფრინდა არწივი. გაძალა თავისი განიერი, ღონიერი ფრთები, თითქო ცას მიეკრბა ისე მაღლა აფრინდა; ფრინველთა წრე შემოავლეს. კარგა ხანს იტრიალეს და ბოლოს ისევ დაბლა დაეშვენ. შემოუსხდენ კარშემო თავის მეფეს, მიიპატეიეს კაჭკაჭიც, ჩაისვეს შუაში: მოიტანეს ძრავალი ფრინველისა და ნადირის ხორცი და გამართეს ნადიმი.. სადილზე ბევრი ისაუბრეს თუ როგორ შეჭბრძოლებოდნენ მტერსა... გათავდა ნადიმი და არწივმაც შიკრიკები გაკვანახა რომ ვინც აკლდა ისინიც მოსულიყვენ.

მეორე დღით იმდენი ფრინველთა გუნდი მოგროვდა რომ მზის სხივები დაჩრდილა; ფრინველთა ეატყატისაკან მთელი არე-მარე ინძრეოდა. საზარელი და მასთან საუვარელი სანახავი იყო ეს ფრინველთა ბრბო, მათი მოძრაობა, ხმაურობა. ეველანს ეტეობოდა, რომ რაღაც დიდი საქმისათვის ემსადებოდა.

არწივმა ეველანს თვალი გადაავლო, ლაშქარი გადათვალიერა სათითაოთ და დაარეგა ვინ როგორ მოქცეულიყო. „თქვენ, მავარდენსო, ქორნო და კავასნო ეცადეთ რომ რამდენი კაციც ჩვენ ბრძოლას დაგვიწიებს იმდენსვე

ქუდი მოსტაცოთ!“ დაიძრა არწივი და მასთან ერთად ფრინველნი. მეფეს ახლო მოსდევდნ შავარდენები, მერე გავაზნი; იმათ მოჭყეუებოდნ ქორები, მერე ალაღნი და მიძინოები, შემდეგ ყორანნი; ყორნებს უკან უაჯირები, უაჯირებს მოსდევდნ სვაენი და სსვ. და სსვ. კაჭკაჭი სულ უკან დარჩა და სინარულით ალარ იცოდა რა ექნა. გზაზე ლაშქარს ბევრი მეომარი ემატებოდა. გუშინ რომ ბიანროთ გახდა კაჭკაჭი, ის მერაც აქ მოაფრატუნებდა მხრებსა. ფეხის სმას აჭყვა ისიც. მელაც დაბლა მორბოდა; ეგები მეც რამ მერგოსო...

წინა ღამეს საკვირველი საქმე დაემართა სარდიონს. მდინარე მოვარდა, მისი ძარანი, ბელელი სულ ერთიანათ წალეკა და წაიღო. ამ ფაცა-ფუცში რომ იყო სარდიონი თავის ბიჭებიანათ იმ დროს სახლს დაქსნმოდა თავკთაჯარი და რაც რამე ძვირფასი ჰქონდა სახლში, ზოგი ნამღვინევი, ნაფეშქაშარი თუ ნაყიდი ეველა ჩაეჭრათ, ჩაეკემსათ... მეორე დღით ფრიად შეწუხებული სარდიონი თავის ბიჭებით გაბრაზებული დადიოდა ეზოში, კლოფობდა აუარებელ ჰურისა და ღვინის დაღუწვას; სახლში ნიფთებისა და ტანისამოსის გაოსრებას... ეზოში გაფენილიყო აუარებელი გუნდი ბატებისა, ინდოურებისა, ქათმებისა და სს... სარდიონმა არ იცოდა თუ სწვა უარესი უბედურობა მოელოდა... შორს დაინახა სარდიონმა უსარმახარ შავ ღრუბელსავით რაღაცა, თითქო ზღვა გადმო-



ვარდნილს თავის ნაპირებიდანაო ისე მოჩანდა არწივის ლაშქარი. სარდლონს ესარა ამ სურათის დანახვა. როცა გააჩნია ფრინველთა გუნდა, ბიჭი აფრინა სახლში თოფისათვის. აკერ მოახლოვდა ლაშქარი, თითქო სეტყვა მოდისო, ჭექა-ქუხილი ისმოდა. შეუზოფრათ მოცვივდენ და დაესხენ ესოში ბატების, ინდოურების, ქათმების გუნდს: ბედვირს ადენდენ ეველას. ჯერ არწივისა, ქორ-შავა ოდების ჯერი არ მოსულიყო. დიამბეგი და მისი ბიჭები უჩხაკუნებდენ თოფებს, მაგრამ არც ერთს არ გაუვარდათ — ეს თავგების ბრალი იყო, თოფები „ჩაესველებინათ“ რომ აღარ გავარდნილიყვენ, ეველას თოფები, განა თუ მარტო დიამბეგისა. დიამბეგმა სმალსაც მიჰმართა, მაგრამ სმლით რას გახდებოდა. ვინ მიუღტებოდა ახლო: აბა, ჰა, სმალი შემომკარო! არაგინ. სმალი გადააკდო. თოფს დაუწყო სინჯვა: მკელი ტყვია-წამალი ამოიღო და ახალი ტყვია-წამლით გატენა. სხვასაც ესევე უბრძანა. იმათ რომ თოფებს დაუწიეს შლა და კულების გამოკვებინება, „დროაო!“ სწორეთ ამ დროს უბრძანა არწივმა ქორ-შავარდნებსა და თითონ გაუმღვა წინ, დაუქროლა დიამბეგს ზირველმა და გაჰკრა ბრჭყალი თავზე. მისი ვარსკვლავიანი ქუდი ბრჭყალებში შერჩა და დიამბეგსაც დაუკაწრა თავი, სისხლმა დაუწყო დენა. სხვებმა სხვებს მიჰმართეს, ერთ წუთში მოხდა ეს საქმე, და ყოყინით აემართენ მაღლა. ეველას კლანჭებში ჯურა-ჯურა ქუდები ეჭირათ. დამარც-

სებულ დიამბეგი და მისი ბიჭები ჰირ-დაღებულნი შე-
სხერებოდენ ამ ამბავს. კაჭკაჭი შირი-ახლოდან სეირს
უუერებდა, სისარულით აღარ იცოდა რა ექნა. შვილები
დაავიწუდა, ახლათ დაიბადა.

ფრინველნი ნადავლით თავის ბინაზე დაბრუნდენ
და დიამბეგმაც იმავე დღეს შერცხვენილმა ქალაქისაკენ გა-
სწია ქულისა და ტანისამოსის საუიღლათ. ტახტრევანში
ცხენები შეაბმევინა და გასწია გაცხარებულმა ლანძღვა-
გინებით, შფოთით.

გზაზე ერთ ადგილას ცუდი გასაჯლელი იყო. დიდი
ფლატე, მირს ღრანტობი... ამ ადგილს რომ მიუახლოვ-
და, ცხენები უცბათ შეფრთხენ და შუაგულ ღრანტობში
ჩავარდენ. დიამბეგის „კუჩქრმა“ თვალი მოჭკრა შელას, რო-
მელიც ფლატოდან ამოხტა და გამრიალებული გარბოდა
ტეისაკენ.

ეს ამბავი მთელმა სოფელმა გაიგო, დიამბეგი მკვდა-
რი წასავენეს სახლში და მესამე დღეს დასაფლავეს. ცხე-
ნები დახოცვილიყვენ. სარდიონის კუჩქერიც თავ-გატეხილი
ლოგინში იწვა და მწარეთ გმინავდა...

ფრინველნი გამარჯვებულნი დაბრუნდენ ნადავლით.
ქულებიც თან მიიტანეს. აწწივმა სარდიონის ქუდი თავის
საბძანებელ კლდის კინჭუსზე ჩამოჭკიდა. სხვებმაც იმის
ჩამოსწვრივ კლდეზე გაამწკრივეს ქულები. მას აქეთ არწი-
ვის საბრძანებელს „ქუდოვანი“ დაერქვა. მონადირენი და

მწეემსნი, როგორც არაკს ისე უამბობენ სოფლელთ „ქუ-
 დოვანის“ ამბავს. ამბობენ: „ამჟამათა ჩანს ქუდები კლ-
 დეზე, ზოგი თეთრათ, ზოგი შავათ, სხვა წითლათ და
 ლურჯათათ...“

ფრინველთ გაიგეს ძელისა გემარჯვება, სარდიონისა
 და იმის ცხენების დაღუპვის ამბავი. მთელი ერთი თვე
 კარგ დროებას ატარებდენ დიამბევის ნაპატვიარ ცხენე-
 ბის ლემსე.

ვაჟა-ფშაველა.





გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ი .

მომილოცავს! გაზაფხულდა,
 გადაახლდა მთლათ ქვეყანა,
 ბალახს მოსვდა გულში ნაძი
 და მინდორი აამწვანა.

ვარდმა მხესა გაუღიმა,
 უელი გვერდზე გადუხარა,
 ჩაიგრა მან გულში სსივი,
 და ცრემლები გადმოუარა.

მდინარე სულ-შესუთული
 მოჩახახახობს, ცეცქობს, ხარობს,
 და ბუღბული ემსით მთვ ალი
 მის კიდევ ბუჩქში გალობს.

ქალაქელი ქაშის.

III.



ზარეული ზაქარა ოცდა-ხუთა წლის კაცო იქნებოდა. თორმეტი წლისა იყო, როცა მამა მისა სოფლიდან ჩამოიყვანა თულისში და მეპურესთან დააყენა. მისი სოფელი რაჭაში იყო. ორ წელიწადს ზაქარა მეპურესთან უჯამაგროთ იღვა. ამ ხნის განმავლობაში პურის ცხობა კარგათ შეისწავლა და მესამე წე იწადს თვეში ექვსი მანეთი დაუნიშნეს. ზაქარა ყველაფერში მარჯვე იყო, მეტადრე პურის ცხობაში. ერთხელ, როდესაც ზაქარა თონეში პურს აკრავდა, უცაბედათ ფეხი აუსხლტა, თეი ველარ შეიკავა და შიგ ჩაეარდა. მყისვე მოცვინდენ ამხანაგები, ამოიყვანეს, მაგრამ ზაქარას თეი ძალიან დასწვოდა. წაიყვანეს საავთმყოფოში; მთელი ერთი თვე იწვა იქ და სკვდილს ძლიეს გაღურჩა. მორჩა თუ არა, დასწყევლა მეპურეობა,

დაანება ამ ხელობას თეი და ერთი წალიწადი მენაშესთან იყო; იქ საჭმელების კეთება ისწავლა. შემდეგ სასტუმროში დადგა. ორ წელიწადს აქ იყო, და მზარეულობა შეისწავლა. მას შემდეგ სულ მზარეულათ იღვა. მზარეულობაში თეის-თ ისწავლა ქართული წერა კითხვა და წიგნები და გაზეთები ძალიან შეუყვარდა. გაჭირებულნი ოჯახის პატრონი იყო; მოხუცი დედა-მამა ჰყავდა, დები, ძმები

და ამიტომ ფულს უბრალოთ არ ხარჯავდა; წიგნებისათვის კი ფულს არ ზოგავდა; წელიწადში ერთხელ სახლში მიდიოდა; დარჩებოდა იქ ერთ თვეს და ისევ ჩამოვიდოდა ხოლმე.

ნასადილეც, როცა სოსანა საქმეს მორჩებოდა, აიღებდა თავის დედა-ენას და ზაქარასთან გასწევდა. ზაქარა კარგი მასწავლებელი გამოდგა; სულითა და გულით მოწადინებული იყო, რომ სოსანასთვის კითხვა ესწავლებრა, სოსანამაც ბეჯითათ მოჰკიდა საქმეს ხელი და ერთი კვირის განმავლობაში ანბანი კარგათ დაისწავლა. ანბანის შემდეგ კითხვას შეუდგა: აქ კი ცოტა გაუძნელდა, მაგრამ სოსანამ სძლია სიძნელეს და თანდათან გაიმართა კითხვაში. სამ თვეს შემდეგ ისე კარგათ კითხულობდა, რომ, რაც უნდა უცხო ალაგი გეჩვენებიათ, წაკითხვა არ გაუჭირდებოდა. ახლა წერას მიჰყო ხელი და ის უფრო ადვილიათ შეისწავლა.

სოსანას სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. დედა-ენა რამდენჯერმე გადიკითხა; რამოდენიმე ლექსი ზეპირათაც დაისწავლა. ახლა ზაქარას გამოართმევდა ხოლმე ქართულ წიგნებს და ნასადილეც, როცა ყველა დაისვენებდა და სოსანა თავისუფალი იყო, ჩაუჯდებოდა ხოლმე კითხვას, მაგრამ მალე ისევ დაასაქმებდნენ და კითხვას გააწყვეტებდნენ; სოსანას კი კითხვა ისე შეუყვარდა, რომ წიგნის მოშორება აღარ უნდოდა. ფიქრობდა, როგორ მოეხერხებოდა, რომ ბევრი დრო მქონდეს საკითხავათ, და ვერაფერი მოეგვარებია, ბოლოს გადასწყვიტა, როცა ნაგახმძიმეც ყველა დაიძინებს, წამოვდგები, ლამპას ავანთებ და ვაკითხავ ხოლმეო. მართლაც ასე მოიქცა, ყოველ ღამეს ამ გვართ თითო საათი ან საათ ნახევარი კითხულობდა, სანამ ძილი არ დაძლედა. აღამ ეს არ იცოდა თორემ ღამე ღამის ანთების ნებას არ მისცემდა, ნებით დაიხარჯებო. ერთხელ, როცა ყველამ დაიძინა, სოსანა ჩვეულებრივით წამოდგა, ანთო ღამპა და დაიწყო კითხვა. ღამპა მაგიდის ნაპირას იდგა, კითხვის დროს სოსანამ უცაბედათ ხელი წამოჰკრა, ღამპა გადმოვარდა, გატყდა და იატაკს ცეცხლი გაუჩნდა.



ცეცხლის აღმა სოსანა ისე დააფრთხო, რომ ველარაფერი მოახერხა და ყვირილი მორთო. სახლში ყველას გამოეღვიძა. როგორც იქნა ცეცხლი ჩააქრეს.

— რათ გინდოდა, ბიჭო, ლაშვას რომ ანთებდი, შე ჰარამზადა, ჰა? დაუყვირა სტეფანემ და ორიოდ სილა აქამა.

— წიგნს ვკითხულობდა; უპასუხა შეშინებული ხმით სოსანამ და ტირილი მორთო.

— ცრუობ, შე გველოს წიწილო! ალბათ საეშმაკოთ გინდოდა.

— რა უნდა მეეშმაკა? აი ამ წიგნს ვკითხულობდი.

სტეფანეს ცოლი ხელებს და ფეხებს ასარსალებდა, ახლავე უნდა გავაგდოთ, თორემ გადაგეწვავსო.

სტეფანემაც იფიქრა, ლაშვა სწორეთ მისთვის ანთო, რომ ჩვენი გაქურდვა უნდოდაო და დაჩხრიკა საბრალო სოსანა, მაგრამ რას უნახავდა საცოდავ ბავშს! მეორე დღეს გახადა ნაყიდი ტანისამოსი, ჩააცვა თავისი ძველი ახალუხი და დაითხოვა.

სოსანა საძაგელ მდგომარეობაში ჩავარდა. სად უნდა წასულიყო? მისი ერთათ ერთი მეგობარი, ზაქარა, თვენახევარი იყო, რაც სოფელში წავიდა და მას აქეთ აღარ დაბრუნებულა; მის ალაგას სხვა მზარეული დაიჭირეს. მთელი ოთხი დღე სოსანა დიდ გაჭირვებაში იყო. დღე ბაზარში დახეტილობდა, იქნება ბინა ვიშოვნო როგორმეო, ღამეს კი ერთ რაჭველ მეხაშესთან ათევედა, რომელიც იღბლათ ზაქარასთან გაიცნო. წარმოიდგინეთ მისი სიხარული, როდესაც ხუთ დღეს შემდეგ ბაზარში ზაქარა ნახა.

— ოჰ, სოსანას გაუმარჯოს! მიესალმა ზაქარა. — ქვე როგორა ხარ?

სოსანა თავის გაჭირვებას მოუყვა.

ზაქარა ჩაფიქრდა, შემდეგ მაუბრუნდა სოსანას და უთხრა:

— ჩემთან წამოდი. ეს სამი დღე არის, რაც სოფლიდან ჩამოვედი. ბინა უკვე ვიშოვნე. საცა მე ედგევარ, იქ პატარა ბიჭი უნდათ და იქნება იქ დაგაყენო როგორმეო.

ამ ამბავმა სოსანა კიდევ უფრო გაახარა: თუ კი თავის ზაქარას-
თან ერთად იქნებოდა, მის ბედს ძალი ალარ დაჰყევდა. ზაქარამ
იყიდა საღილისათვის საჭირო მასალა და წაიყვანა სოსანა თავის ბი-
ნაზე. მივიდნენ თუ არა, ზაქარა ბატონთან შევიდა, მოელაპარაკა,
რამოდენსამე ხანს შემდეგ გამოვიდა, სოსანას დაუძახა და სახლში
შეიყვანა.

სოსანა წარდგა მაღალი ტანის კაცის წინ, რომელსაც შავ წვე-
რებში ჭალარა აქა იქ გამორეოდა, თმა კი გათეთრებული ჰქონდა.
ეს იყო ზაქარას ბატონი.

— შენი სახელი? დაეკითხა ბატონი სოსანას.

— სოსანა, ბატონო! უპასუხა მან.

— სოსანა?! როგორი სახელი გრქმევია!

— ნათლობის სახელი იოსები მქვია, ბატონო; სოსანა გადარ-
ქმეული მაქვს.

— სოსანა! სოსანა!.. სადაური ხარ?

— ქართლიდანა ვარ, ბატონო!

— დიდი ხანია ქალაქში ხარ?

— ჯერ წელიწადი არ არის, ბატონო!

— მარჯვე ხარ?

— რა მოგახსენოთ, ბატონო!

— მაშ ვინ უნდა მომახსენოს, ჩემო სოსანა! რას მთხოვ, ჩემ-
თან რომ დადგე?

— რა ვიცი, ბატონო! როგორც თქვენ გენებოსთ.

— როგორც მე მენებოს? კარგათ ჩავაცმევ, დაგხურავ და ორ
მანეთს კიდევ მოგცემ თვეში. თუ მარჯვეთ იქნები, მოგიმატებ.

სოსანამ მაღლობის ნიშნათ მღაბლათ თავი დაუტკრა და ზაქარას
გამოჰყვა.

IV.

სოსანას ახალი ალა, დავით ჩვლიშვილი, შუახნის კაცი იყო.
მას წყნარი, მშვიდობიანი სახე ჰქონდა, რომელიც პირველ შეხედვა-



ზედვე მიგიზიღვდათ. მისი კეთილი თვალები ნათლათ ამტკიცებდენ, რომ მისი გული ყველა გაჭირვებულის თანამგრძობელი და შემბრალები იყო.

ოცდა ათი წლისა იყო დავითი, როცა ცოლი შერთო, მაგრამ მესამე წელიწადზე ჯვარის დაწერს შემდეგ ცოლი მოუკვდა. უბედურებას ადამიანი მალე ეჩვევა. დავითი დიდი ხანია შეჩვეოდა ყოველგვარ უბედურებას, გაჭირვებას და ამიტომ ცოლის სიკვდილი წყნარათ გადიტანა. ერთათ ერთი ვაჟიშვილი დარჩა, სერგო, და ის იყო ახლა მამის ნუგეში. ორი წლის წინეთ დავითი მსაჯულათ დანიშნეს. ჯამაგირი ახლა სკმარისი ჰქონდა, მაგრამ თვითან ნახევარსაც არ ხარჯავდა: გაჭირვებაში დაბადებულსა და აღზრდილს კარგათ ესმოდა სხვისი გაჭირვება და ამიტომ ყველას ეხმარებოდა, ყველას აძლევდა მოწყალებას, ვისაც კი ეჭირვებოდა. სერგო თორმეტი წლისა იყო. გიმნაზიაში სწავლობდა, მეორე კლასში იყო და საუკეთესო შეგირდების რიცხვში ითვლებოდა, როგორც სწავლითაგრეთვე ყოფაქცევითაც. დავითი მის აღზრდას დიდ ყურადღებას აქცევდა და ცდილობდა, მის გულში საწყალო-ხალხის სიყვარული და სიბრალული ჩაენერგა.

სოსანას ჯაფა ცოტა ჰქონდა. დილას ფეხსაცმელები უნდა დაეწმინდა, სამოვარა დაეღვა და ოთახები დაეგავა. თავისუფალი დრო ბევრი ჰქონდა და ამიტომ წიგნების კითხვამ ძალიან გაიტაცა. როცა ერთი თვის ჯამაგირი მიიღო, მანეთი შეინახა, მეორე მანეთით კი წიგნები იყიდა. ნელანელა მიდიოდა დრო. სოსანა და სერგო მალე ერთმანეთს დაუმეგობრდენ. სერგოს ქართული წიგნებით მთელი ერთი შკაფი ჰქონდა საესე და, რომ გაიგო, სოსანამ ქართული კითხვა იცისო, დიდა სიამოვნებით აძლევდა წიგნებს წასაკითხათ.

— სოსანა, ქართული ხომ იცი და რუსული რომ ისწავლო, არ გინდა? — მიუბრუნდა ერთხელ სერგო სოსანას.

— ბარემ მინდა, მაგრამ ვინ მასწავლის? უთხრა სოსანამ.

— თუ ძალიან დამიძადლებ, მე გასწავლი!

— რომ იკადრებდეთ, როგორ არ დაგიმადლებთ!

ამ დღეს ორივემ პირობა შეჰკრეს: სერგო მასწავლებელი უნდა ყოფილიყო, სოსანა კი შეგირიდი და რუსული წერა-კითხვა უნდა ესწავლა. ერთი წლის განმავლობაში ლაპარაკი ცოტა შეისწავლა, რის გამოც რუსულის სწავლა იმდენათ ძნელი არ ეჩვენა, როგორც თვითონ მოელოდა. ანბანის კითხვა და წერა რამდენსამე დღეში კარგათ გაიბეჯითა; შემდეგ სიტყვების კითხვას მიჰყო ხელი. რაც არ ესმოდა, სერგო აუხსნიდა ხოლმე. ამ გვართ რამდენსამე თვეს შემდეგ სოსანა ისე კითხულობდა და წერდა რუსულათ, რომ ორი წლის სასწავლებელში ნამყოფი გეგონებოდათ. ახლა სერგოს დახმარება აღარც კი სჭირდებოდა; თვითონ კითხულობდა; წაკითხულს სერგოს მოუყვებოდა, შემდეგ ზაქარას, რადგანაც მან რუსული არ იცოდა. რა სიტყვებიც არ ესმოდა, მათ ცალკე ამოსწერდა ხოლმე; სერგო აუხსნიდა და დაისწავლიდა. რასაკვირველია, სოსანას გასაოცარი ნიჭი ჰქონდა, მაგრამ მეტის მეტი ბეჯითი და სწავლის მოყვარული რომ არ ყოფილიყო, ცარიელი ნიჭით ბევრს ვერას გააკეთებდა. თუმცა სოსანა ძალიან მოხარული იყო, რომ რუსული წერა-კითხვა ისწავლა და ახლა რუსული წიგნების კითხვაც შეეძლო, მაგრამ სერგოსაც არა ნაკლებ უხაროდა, რომ მისმა შრომამ უნაყოფოთ არ ჩაიარა და სოსანას წერა-კითხვა ასწავლა.

V.

აღდგომა ახლოვდებოდა. ამისთანა დღესასწაულზე დაეთმა მოსამსახურეების დასაჩუქრება იცოდა.

— შენ რას აჩუქებ სოსანას? დაეკითხა ერთ დღეს დაეთი სერგოს.

— მე ორ წიგნს ეუმზადებ: ერთს ქართულს, მეორეს რუსულს! თამამათ მიუგო სერგომ,

— ხა, ხა, ხა! გადინახარა დაეთმა: წიგნები რათ უნდა, შეილო? მისთანას უნდა აჩუქო, ეინც კითხვა იცის. სოსანას რათ უნდა?



— როგორ თუ რათ უნდა? ქართული და რუსული წერა-კითხვა ჩემზე უკეთ იცის!

— უჰ, დიდმარხეაში მაგხელა ტყუილი უნდა თქვა?

— მამა არ მომიკედეს! გნებავთ, ახლავე დაეუძახებ და დაგიმტკიცებთ, რომ კარგათ იცის.

სერგო გავარდა ოთახიდან, მალე მობრუნდა და მოიყვანა სოსანა.

— სოსანა, მამაჩემი არ მიჯერებს რომ შენ ქართული და რუსული წერა-კითხვა იცი და დაუმტკიცე! უთხრა სერგომ, აილო ქართული წიგნი, გადაშალა საცა მოხედა, და მისცა სოსანას. წიგნი „საქართველოს ისტორია“ იყო და სოსანას თამარის მეფობა შეხებდა წასაკითხავათ. სოსანამ ჩახეგლა და დაიწყო კითხვა. ისე კარგათ კითხულობდა, რომ დავითს პირზე ღიმილი მოდიოდა, თავის ყურებს არ უჯერებდა.

— იცი, თამარი ვინ იყო? ჰკითხა დავითმა, როცა სოსანამ ერთი ფურცელი წაიკითხა და მეორეზე გადავიდა.

— ვიცი, ბატონო! ჩვენი მეფე იყო.

— ვინ გითხრა?

— ზაქარას წიგნში ეწერა.

— ვინ გასწავლა ქართული?

— ზაქარამ, ბატონო! უპასუხა სოსანამ და მოუყვა, თუ როგორ ჩამოიყვანა მამამ სოფლიდან, როგორ გაიცნო პირველათ ზაქარა და ქართული ისწავლა. — ძალიან ნაჭიერი ბავშვი ყოფილაო, ფიქრობდა თავის გულში დავითი, როცა სოსანას ლაპარაკს ისმენდა, — ამის ასე დატოვება ცოდვა არისო.

შემდეგ რუსული წაკითხვას სოსანას. ისიც კარგათ წაიკითხა, მხოლოდ ხანდახან ხმის ამალღება ეშლებოდა ხოლმე. წაკითხული დავითმა ქართულათ გადმოათარგმნინა. რამდენიმე სიტყვის გარდა სოსანამ შეენიგრათ გადმოათარგმნა. ქართულისა და რუსული წერის გამოცდაშიაც გაიმარჯვა.

— რუსულიც ზაქარამ გასწავლა? დაეკითხა განცვიფრებული დავითი.

— არა, ბატონო! სერგომ მასწავლა. ზაქარამ რუსული არ იცის.

— მართლა შენ ასწავლე, სერგო? მიუბრუნდა დავითი სერგოს.

— დიახ, ენკენისთვეში ხომ ჩვენთან დადგა სოსანა. მე როცა გავიგე, რომ მაგან ქართული წერა-კითხვა იცოდა, მოვინდომე, რუსულიც მესწავლებია, ღვინობისთვეში დავიწყეთ და რაკი ანბანი ვასწავლე, შემდეგ სულ თავისით გაიბეჯითა.

— ამ ექვს თვეში ასე კარგათ ისწავლე რუსული? ალბათ წინეთაც იცოდი, უთხრა დავითმა სოსანას.

— არა, არ იცოდა! მიექომავა სერგო:— ანბანს რომ ვასწავლიდი, სულ არაფერი არ იცოდა.

— რამდენი წლისა ხარ? დაეკითხა დავითი სოსანას.

— მამა ჩემმა რომ ქალაქს წამომიყვანა, ათი წლისა ვიყავი. წარმოთქვა სოსანამ.— ახლა მეთორმეტეში ვარ! დაუმატა ცოტა ხანს შემდეგ.

სოსანა გამობრუნდა, სერგო უკან გამოჰყვა გახარებული, რომ გაიმარჯვა და მამა გაამტყუნა. დავითი კი ჩაფიქრებული იჯდა. ერთი რომ სოსანას ნიჭი აკვირებდა: წელიწადნახევარი იყო, რაც ქალაქში ჩამოსულიყო და ამ ხნის განმავლობაში ასე კარგათ შეესწავლა ქართული და რუსული. მეორე, მადლობელი იყო თავისი შვილისა, რომ ასეთი სიყოჩადე გამოიჩინა, სოსანას რუსული შეასწავლა. — სხვა მაგის ალაგას რას დაეძებდა, ბუტბუტებდა დავითი, — მოსამსახურეს დაუჯდებოდა სწორეთ მასწავლებლათ!.. არა, მაგისთანა ნიჭის უპატრონოთ დატოვება მიუტოვებელი ცოდვა იქნება. შეიძლება, თვით განგებამ მომიგზავნა ეს ბავში.. ცოტა ხნის ფიქრს შემდეგ დავითმა დაუძახა სერგოს და, უთხრა:

— შენმა კეთილმა საქმემ ძალიან გამახარა, შვილო! იმაზე უკეთესი არაფერია, როდესაც კაცი სხვისთვისაც ზრუნავს და არა



მართო თავის თავისათვის. რადგანაც დაგიწყია, კიდევ უნდა გავაგრძელოთ. მე გადავწყვიტე, რომ სოსანა სასწავლებელში მივაბაროთ. წელს უკვე დაგვიანებულია. რადგანაც მეთორმეტე წელიწადში ყოფილა, უნდა ვეცადოთ, რომ საგანსოთ მაისში პირველ კლასში დაიჭიროს გამოცდა. ამ ზაუხულს შერ ასწავლე, ენკენისთვიდან მასწავლებელი დავუჭიროთ, იმედია, კარგათ მოემზადება და პირველ კლასში მიიღებენ. სერგომ მეტის სიხარულით ხელიხელს შემოჰკრა, გადაეხეია მამას და აკოცა; შემდეგ გამოიქცა სოსანასთან და მამის ნათქვამი ახარა.

სოსანა ჩაფიქრებული იჯდა: წუხდა, რომ წელიწადნახევარი გავიდა და მამა მისი კი არსად ჩანდა; ამდენი ხანი სახლის ამბავი აღარ იცოდა. მაგრამ როცა სერგომ შეატყობია, სკოლაში უნდა მიგაბაროთო, სოსანას ყოველისფერი გადაავიწყდა: ამაზე მეტათ რაღა გაახარებდა. ჯერ ეგონა, სერგო მატყუებდა, მაგრამ, როცა დარწმუნდა, რომ სერგო მართალს ეუბნებოდა, წავიდა და დავითს მადლობის ნიშნათ ხელზე აკოცა.

— რადგანაც სწავლა გყვარებია, ჩემო სოსანა, ამიტომ სასწავლებელში მიგაბარებ. თუმცა ქართული და რუსული კარგათ იცი, მაგრამ, თუ უკეთ არ ისწავლე, არ მიგიღებენ. ამიტომ მასწავლებელს დაგიჭერ ენკენისთვეში. მაისისთვის ისე კარგათ უნდა მოემზადო, რომ გამოცდა დაიჭირო პირველ კლასში. გამოუცხადა დავითმა.

VI.

— წაღი, კაცო, გაიგე რამე იმ ბავშვის ამბავი, თორემ სწორეთ გადავარდები სადმე! ეჩხუბებოდა ერთ ღღეს თამარი საჩინოს.

— გავათაეებ, აღამიანო სიმინდის თესვას და წაფალ. ისე ლაპარაკობ, თითქოს მე კი არ მინდოდეს წასვლა.

საჩინომ დათესა, როგორც იქნა, ყანები, ჩაიდვა ჯიბეში ორი-ოდე მანეთი, გამოიკრა ყაბალახში სამიოდე პური და გამოსწია ქალაქისაკენ. ჩამოვიდა, მიაშურა სტეფანეს და შეილი იკითხა.

— შენმა შეიღმა ფინთი ზნე დაიჭირა: ქურდობა დაიწყო. უთხრა სტეფანემ. — გაგვქურდა, გადაგვწვა კინალამ და დავითხოვე. შემოდგომიდან ჩემთან აღარ არის.

— სადა დგას, არც ის იცით? დაეკითხა საჩინო.

— არა!

საჩინოს ელდა ეცა. დაიხურა ქუდო და გამოსწია, მაგრამ, სად წასულიყო, არ იცოდა. მის გულში ორი ცეცხლი ტრიალებდა: ერთი-რომ სოსანას ქურდობა დაუწყია. საჩინო ყოველგვარ სისაძაგლეს მიუტევებდა ადამიანს, ქურდობას კი ვერა. მეორე, — ცოლი ებრალებოდა: ამოდენა ქალაქში, თერთმეტ-თორმეტი წლის ბავში სად იქნებოდა, ხამი კაცი როგორ მიაგნებდა? არ ჩაეტანა მისი ამბავი და რაღა პართ მისულიყო თაქართან? მთელი ხუთი დღე დაეხეტებოდა საჩინო ქალაქის ქუჩებში, აქეთ-იქით იყურებოდა, იქნება დაინახო სადმეო; ყოველ დილას ბაზარში იყო ატუხული, ეგებ იქ მაინც გამოვიდესო, მაგრამ ამართ. ბოლოს პოლიციელს მიმართა და მან ასწავლა, პოლიციაში გამოაცხადე და იპოვიო. საჩინომ გასწია მაშინვე პოლიციაში, დიდის ძებნისა და გამოკითხვის შემდეგ მიაგნო, ქუჩაშივე მოიძრო თავისი ნაბდის ქუდი, ამოიჩარა ილიაში, ავიდა კიბეზე და შეჰყვა ხალხს. ასწავლეს, ვისთვისაც უნდა მიემართა; მივიდა და დაედროჯა:

— შენი ჭირივე, ჩემო ხემწიფე, შეილი დაგკარგე და თქვენთან მომასწავლეს, ის იპოვისო. მოიღეთ წყალობა, თქვენ მუხლებს შამოვევლე!

— დიდი არის? ჰკითხა მოხელემ ბრძანების კილოთი.

— მეთორმეტეში გახლავსთ! უპასუხა საჩინომ.

— როდის დაგეკარგა?

— შარშან ჩამოვიყვანე, შენი ჭირივე, ქალაქში; ბინაზე, დავაყენე; იქიდან გამოსულა და ახლა აღარ ვიცა, სადა დგას. დავეძებ და ვერ მიმიგნია.

— ეჰ, ტუტუცო! მე მეგონა, თუ მართლა დაგეკარგა! გასწია, დაიკარგე, ეგ ჩემი საქმე არ არის. დაუყვირა მოხელემ.

დაიღრიჯა საჩინო, მაგრამ ვიღამ ათხოვა ყურადღება. წამოვიდა გულჩათუთქული, თვალებზე ცრემლები მოსდიოდა. ორიოდღე დღე კიდევ დარჩა ქალაქში, მაგრამ ვერაფერი გაიგო. ფული შამოე-

ლია, ნაცნობი არავინ ჰყავდა. იფიქრა, შიმშილით მოკვდებოდა, და გამოსწია სახლისაკენ.

— როგორ არის ჩემი სოსანა? მოსვლის უმაღლესი ჰკითხა თამარმა.

— რა უშავს, კარგათ არის! უთხრა საჩინომ ზე თან ცდილობდა, ცოლისათვის მოწყენილი სახე არ ეჩვენებია ზე არაფერი შეემჩნევებია.

— შემოვევლე ჩემ შავ ბიჭს! გაზრდილა? გაკეთებულა? გასუქებულა? არ აპირებს ჯერ ჩამოსვლას? მიაყარა კითხვები თამარმა.

— რომ განახვა, ვეღარ იცნობ! მაგრამ აქეთ წამოსვლას ჯერ ძალიან უარობს! სანამ ბევრ ფულებს არ მოგვაგროვებ, არ წამოვალა.

— კაცო, რა დაგემართა, რას დაღონებულხარ? დაეკითხა თამარი, რომელიც ლაპარაკის დროს საჩინოს თვალს არ აშორებდა.

— არაფერს, ცოტა დაღალული ვარ. უპასუხა საჩინომ.

— დაღალვით განა სხვიმის არ დაღალულხარ, რომ მაგრე არა ყოფილხარ! ავით ხომ არა ხარ?

— ავით რა გამზდის! უპასუხა საჩინომ და თვალები აემღერა.

— აბა რა გემართება?—თვალებზე ცრემლები მოგდის!

— ორიოდ მანეთი გამომატანა ი ბავშვმა და გზაზე ამომაცალეს. წამოთქვა საჩინომ და თან გულში იფიქრა: ეს სწორეთ კარგათ მოვიგონეო.

თამარმა ჯერ ძალიან გაიცხადა, მუხლებზე ხელი წაიშინა; ანკი რა ექნა: ექვსი ქალეაჟი ტიტელები დაუდიოდა.

— ბევრი იყო? დაეკითხა ბოლოს.

— ექვს მანეთამდე იყო. უპასუხა საჩინომ და მოუყვა: ბილეთს რო ვყიდულობდი, ხალხი ბევრი იყო; მამაწვენ და ამასობაში ჯიბიდან ქისა ამომაცალესო. ამგვართ დააჯერა საჩინომ ცოლი და თავის მოწყენილობის ნამდვილი მიზეზი კი დამალა. გადიოდა დრო. საჩინო სულ მოწყენილი, სულ ჩაფიქრებული დადიოდა; გულის ის უფრო უკლავდა, რომ თავისი მწუხარების სხვისათვის გაზიარება არ შეეძლო. როცა შენ უბედურებას ვისმე შესჩივლებ, თუნდა ნახევარი ვარამი მოგეშორებოდა, გულის ისე მოგვეფონება. საჩინო კი ყოველთვის გაფრთხილებული უნდა ყოფილიყო, არაფერი წამომცდეს, ან სახეზე არაფერი შემატყოს ცოლმაო.

განო.

(შემდეგი აქნება)



ქრისტეს ჰერანგი.

(კვართი)

ქრისტეს წვალებების წინ იერუსალიმის ურბებმა ბარათები გაგზავნეს ეველა ქვეუბნებში, სადაც კი ურბები ცხოვრობდნენ, და შეუთვალეს მოსულიყვენ იერუსალიმში და ქრისტეს გასამართლებას დასწრებოდნენ. ერთი ასეთი ბარათი მცხეთელ ურბებსაც მოუვიდათ. მცხეთელმა ურბებმა აირჩიეს ელიოზ ურია და გაგზავნეს.

ელიოზს ჭეხვდა მოსუცებული დედა და დაი სიდონია. ელიოზის დედა ღვთის მოყვარე და ნახსწავლი დედაკაცი იყო, ბევრი რამ ჭქონდა გაკონილი ქრისტეს სასწავლებლებზე და აჩიტომაც წასვლის დროს, როცა თავის საყვარელ შვილს გამოეთხოვა, დაარიგა და ურჩია, არ მიეღო მონაწილეობა ქრისტეს ტანჯვაში.

ელიოზს იერუსალიმში ერთი ნათესავი ურია ჭეხვდა და ბინათ მასთან ჩამოსტა. იგი იერუსალიმში სწორეთ იმ დროს მივიდა, როცა ქრისტეს ასამართლებდნენ. წი-



თელ ჰარასკევს, როცა ჰილატემ ქრისტეს სიკვდილი გადაუწვიტა და იგი გოლგოთის მთაზე ჯვარს აცვეს, ელიოზის მასწინძელი იმ მცველებთა შორის იყო დანიშნული, რომლებიც ქრისტეს ჯვართან დაუენეს.

ჯვარზე გაკვრის წინ ქრისტეს ტანისამოსი გაჭხადეს და მცველებს მისცეს. მათ მონდომეს მისი გაუოფა. მაგრამ ქრისტეს ერთი მოქსოვილი ჰერანგი ჰქონდა, რომელიც სხვა მის ტანისამოსზე უფრო ძვირფასი იყო. მცველებს გაუძნელდათ მისი გაუოფა. ბოლოს გადასწვიტეს წილი ეუართ, მართლაც წილი ჰქარეს და ის ჰერანგი ანუ კვართი ელიოზის მასწინძელს ერგო. ეს ჰერანგი მან თავის სტუმარს ელიოზს აჩუქა, ელიოზმაც შინ წამოიღო მცხეთაში.

ელიოზის იერუსალიმში ყოფნის დროს მისმა მოხუცებულმა დედამ სწორეთ იმ დროს, რა წამსაც ქრისტე ჯვარს აცვეს, რაღაც საშინელება იგრძნო და მოულოდნელათ გადაიცვალა. როცა ელიოზი შინ დაბრუნდა, სიღონია ტირილით მიეგება საუვარელ ძმას, გადაეხვია და უამბო დედის საკვირველი გადაცვალეობა. მეომე გამოჰკითხა ქრისტეს ამბავიც. ძმაც მოუყვა და დალაგებით უამბო, რა საშინლათ სტანჯეს ურიებმა ქრისტე, როგორ შეუბრალეობათ აწამეს ჯვარზე და რა სასწაულები მოხდა მშან, როცა ქრისტემ ჯვარზე სული განუტევა. ბოლოს ისიც უამბო, მცველებმა რომ ტანისამოსი გაიყვეს, ამოიღო ქრისტეს ჰერანგი და უთავაზა საუვარელ დას.

ახალგაზრდა გულჩვილი ქალი საშინლათ დააღონა და ააღელვა ქრისტეს წვალების ამბავმა და მისი ჰერანგი რომ დაინახა, გულში ჩაიკრა. მაგრამ ჰერანგის გულში ჩაკვრა და მისი სიკვდილი ერთი იყო. ამ ამბავმა უკვლანი გააკვირვა.

დასაფლავების დროს ბევრი ეცადენ გამოეცალათ ხელიდან ქრისტეს ჰერანგი, მაგრამ ისე მაგრათ ჰქონდა ჩაკრული გულში, რომ ვერას გზით ვერ გამოგლიჯეს. მეტი რაღა ღონე იყო, აიღეს და ჰერანგიანათ დამარხეს იმ ადგილას საცა ახლა მცხეთის ტაძარში სვეტი ცხოველია. ამბობენ, სიდონიას საფლავზე შემდეგ ერთი საკვირველი ნამკის ხე გაიზარდა, რომელიდანაც მირონი თურმე გამოდიოდა.

წმიდა ნინომ რომ ქართველები გააქრისტიანა, მოინდომეს ქრისტეს ჰერანგის ჰოვნა, მოჭრეს ნამკი, გათხარეს სიდონიას საფლავი და კვართიც იპოვეს. ის კვართი დიდ ხანს მცხეთის ტაძარში იყო შენახული. ერთხელ საქართველოს სპარსეთის ევინი შემოესია თავისი ჯარებით, სძლია ქართველები და მცხეთაც აიღო; მის სხვა საუნჯესთან ერთათ, ქრისტეს ჰერანგსაც დაეპატრონა და წაიღო. ამბობენ, ეს ძვირფასი განძი მან რუსეთის მეფეს ალექსი თეოდორეს ძეს გაუკვანა საჩუქრათ და ახლა მოსკოვის ერთ ძველ ტაძარში არის შენახული.

გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ი .

ჰაივლის ცივი ზამთარი,
 დადგება გაზაფხულია,
 კვლავ აყვავდება ბუნება
 და გაიხარებს გულია!

მზე გადისრება ჩრდილოეთს,
 მის სხივნი გაცხაუკლდებიან,
 და გასათბობათ ცივ ქვეყნის
 პირდაპირ დაეშვებიან.

მთებზედა თოვლნი, ყინულნი
 რუებათ გადიქცევიან,
 და, მოსარწყველათ ველ-მინდვრის,
 თავთავქვე ჩავგოდებიან.

მინდორნი ბიბინს იწყებენ,
 ჯეჯილნი ამწვანდებიან,
 გატიტვლებულნი ტყე-ველნი
 ათას ფრათ აყვავდებიან.




სირი დაიწყებს ბუდის დგმას,
შეინავარდებს პეპელა,
და შესაჰყრობათ პატარა
მიეპარება ნელ-ნელა.

მწყემსი დაირეკს საქონელს
ველ-მინდვრათ საძოვარზედა,
გლეხიც ხელს ჰკიდებს თვის გუთანს,
— ხნულლებს დასჭიმავს წამზედა!

დიაღ, გაივლის ზამთარი,
დადგება გაზაფხულია,
კვლავ აყვავდება ბუნება
და გაიხარებს გულია!!

ი. ლავაზიძე.



ფიზიოლოგიური ნაწილები.

წერილი მეორე.



აღვანაც წინა წერილში საქმლის შესახებ დაეწყეთ ლაპარაკი, ბარემ განვაგრძოთ. მაგრამ, სანამ გავიგებდეთ, რა ამბები ხდება ადამიანის ტანში, ჯერ ის უნდა ვიცოდეთ, თითონ ეს ადამიანი რა ნაირათ არის მოწყობილი. ადამიანი და ყველა ცხოველები ბევრნაირი ნაწილებისგან შედგებიან.—ვიცი, ვიციო, წაქოძახებ და ჩამომითელი: თავი, ტანი, ხელები, ფეხებიო... მართალია, მაგრამ მე სულ სხვანაირ ნაწილებზე მინდა გელაპარაკო. —რასაც შენ თითონ ხედავ და რაც უკვე იცი, იმისი ახსნა შენთვის რალა საჭიროა! ყველა ნაწილები რომ ჩამოგითვალო, ვერ დაისწავლი; ზოგი კი უსათუოთ უნდა იცოდეს; აი ეს ნაწილები: ყველა ცხოველს აქვს ჩონჩხი, რომელიც ძელებისაგან შედგება; ხორცი, რომელიც ჩონჩხს აკრავს; ხორცს აფარია გარედან კანი ან ტყავი; კანსა და ხორცს შუა ქონია. პირველ შეხედვაზე ასე გგონია, თითქო ხორცი ცომივით ჰქონდეს შემოალესილი ჩონჩხს გარშემო; მაგრამ ტყავი და ქონი რომ გააცალო რაიმე პირუტყვს, დაინახავ, რომ ხორცი მრავალ ნაწილებათ იყოფა და ეს ნაწილები, რომლებსაც კუთები ჰქვია, ბაწრებივით გაბმული არიან ძელებსა და ძელებს შუა. კუთების საქმე ის არის, რომ ტანი ამოძრაონ; ხელებს, ფეხებს, თავს—ყოველისთვის კუთები ამოძრავებენ; რადგანაც მოძრაობა მუშაობისათვის აუცილებელია, ამიტომ ყველა ცხოველი კუთების შემწეობით მუშაობს. შენ ხელს რომ კუთები არ ჰქონდეს, იმეო პატარა მკითხველო, მუდამ ჩამოშვებული გექნებოდა, ვერც საქმელს მიიტანდი პირთან, ვერც ცხვირს მოიხოცდი, ვერც დაეჭიდებოდი ვისმე; აგრეთვე ფეხებს რომ კუთები არ ჰქონდეს, ველარ ირბენდი და კუტივით ერთ ალაგას უნდა დაბრძანებულყოფიყავი.

თითონ კუთები თავისით ვერასფერს გააკეთებდენ, რომ მათ მბრძანებელი და თვალყურის მგდებელი არ ჰყოლოდათ; ისინი მხოლოდ იმას აკეთებენ, რასაც ბატონი უბრძანებს; ეს სასტიკი ბატონი კი ტვინია. ტვინი ბრძანდება თავში და აგრეთვე ხერხემალშიაც ჩამოდის. ტვინი წერილი ტვინის ძაფებით, რომლებსაც ნერვებს უძახიან, შეერთებულია ყველა კუთებთან, სხეულის ყოველ ნაწილთან; ამ ნერვების შემწვობით ტვინი ატყობიებს კუთებს:—აი ახლა შენი რიგია, შენი საქმე გააკეთეო; როცა უბრძანებს: ახლა გეყოფა, გაჩერდი, სანამ ჩემი ბრძანება არ მოგივიდესო, კუთიც გაჩერდება. კუთს მხოლოდ ორგვარი მოძრაობა შეუძლია: შეკუმშვა-შემოკლება, მოშვება-გაგაძელება; როგორც უკვე გითხარი, ნერვები ტვინიდან გამოდიან და მთელ ტანში ბადესავით არიან გახლართული. როდესაც შენ ცხელი ზაფხულის დღეში კოლო დაგაჯდება და ღრმად ჩაგასობს თავის ხორთუმს, ის ნერვი, რომელიც ამ ალაგას თავდება, ამ ალაგს ყარაულობს, მაშინვე ტკივილს იგრძნობს და ტვინს შეატყობიებს:—ამა და ამ ალაგს კოლო იკბინებაო. ტვინი მაშინვე იმ ნერვებით, რომლებიც ხელის კუთებში თავდებიან, ამ კუთებს უბრძანებს: აბა შემოაკლდით, ასწიეთ ხელი და მიაშველეთ იმ ალაგს, რომელსაც კოლო ჩაფრენიაო. ის კუთები, რომლებსაც ტვინის ამ გვარი ბრძანება მიუვათ, მყისვე გაქანებენ ხელს იქით, საცა კოლოა, და მოგაგერებენ; ყოველივე ეს ისე სწრაფად ხდება, რომ მე და შენ წარმოადგენაც კი არ შეგვიძლია.

ტანში არის კიდევ ერთი უმთავრესი ნაწილი, სისხლი, რომელიც მუდამ მიმომდინარებს და არც ერთ კუთხეს უნახავს, მოურწყავს არ ტოვებს; იმას მოაქვს კუთებთან და სხვა ნაწილებთან სახარლო, ურომლისოთაც ისინი ვერ გაძლებენ და ვერც არაფერს გააკეთებენ.

ახლა ისევ საჭმელს დაეუბრუნდეთ. აი შენ ადგები თუ არა, ჩაის მიაძღები და, თუ საუზმე არ გავატანეს კიდევ, ისე სასწავლებელში არ წახვალ. მოხვალ თუ არა სასწავლებლიდან, სადილს დაეცაკები, გაივლის რამდენიმე საათი და კიდევ საჭმელი მოგიწდება. ერთი მითხარი, რათ გინდა ამდენი საჭმელი? თუ კარგათ წაიკითხე წინა წერილი, თამამათ მიპასუხებ: იმიტომ რომ დიდი ადამიანი გვიხარდოვო. მართალია: მიღებული საჭმელი შენ საკუთარ ხორცათ, ძვლათ იქცევა, გემატება და შენც იზრდები; მაგრამ დიდი ადამიანე-


ბი ხომ აღარ იზრდებიან, მაშ რინი რალათ ჭამენ? აი რათ: როცა საპნით და თბილი წყლით ხელებს დაიბან და შემდეგ პირსახოცით მაგრათ შეიწმენდავ, ხელის ზურგზე კანის ზედა პირი გადადებრება, ეს რას ნიშნავს? რას და იმას რომ ტანი ცვდება, მას ყოველ დღე აკლდება ცოტა-ცოტა; ასე რომ დააკლდეს ყოველ დღე და მომატებით კი აღარ მიემატოს, ადამიანი ერთობ მალე მოკვდებოდა, დღხანს ვერ გაძლებდა; სისხლს საჭმელი მოაქვს და დიდ ადამიანის ტანი ამ საჭმლიდან დანაკლისს იესებს, და შენი ტანი კი უფრო ეშმაკია; რაც შეიძლება მეტ საჭმელს ართმევს სისხლს, რომ დანაკლისიც შეიშოს და კიდევ გაიზარდოს. საჭმელი მარტო ამისათვისაც არ არის საჭირო. ყველა გლეხმა იცის კარგათ და იქნება შენც იცოდე, რომ, როცა ის საქონელს კარგათ გააძღობს, მაშინ საქონელი ბევრს მუშაობს; თუ ცოტა აჭამა, საქონელი ცოტას მუშაობს; თუ რამდენსამე დღეს მშვიერი დატოვა, მაშინ ღონე სრულებით გამოეღვევა და, მგონი, ფხვიც ველარ გადადვას. მაშ საჭმელი მუშაობსათვის ყოფილა კიდევ საჭირო. უჭმელათ მუშაობა შეუძლებელია. მუშაობა მარტო ხელებით რისამე კეთება კი ნუ გკონია: სიარული, ლაპარაკი, ყოველგვარი მოძრაობა—სულ მუშაობაა. შენ მიპასუხებ: ჰე ყოველთვის არ ემოძრაეობ, მაშ არც ემუშაობ ყოველთვისაო; სახლში ხშირათ ლოგინზე წამოგკატრიალდები და უძრავათა ვარ, კლასში კიდევ ოთხი-ხუთი საათი გაუნძრევლათ ვზეარ, თორემ მასწავლებელი გამიწყრებაო. ტყუილს ბრძანებ, თუ არ გეწყინება: შენ თუ არ მუშაობ ყოველთვის, შენმა გულმა შენსავით დასვენება არ იცის; ის მთელი სიცოცხლე სულ მუშაობს და გზანის სისხლს მთელ ტანში; აბა მარცხენა ძუძუსთან ხელი დაიდევი და ყური დაუკდე, თუ ერთ წამს გაჩერდეს შენი გული! ჭაჭებიც სულ მუშაობენ და სისხლსა წმენდავენ; შენი მკერდი და ფილტვები მუდამ მუშაობაში არიან, უსუნთქავათ აბა შინჯე, რამდენ ხანს გაძლო?

რამდენი რამ მუშაობს კიდევ შენ ტანში შეუჩერებლათ! ასე რომ, შენ თითონ თუ ხშირათ ისვენებ, შენი ტანის მრავალი ნაწილები მუდამ მუშაობენ და მათთვის საჭმელი საჭიროა. შენ აგრეთვე კარგათ იცი, რომ ადამიანსა და ბევრ ცხოველს ყოველთვის თბილი ტანი აქვს. სითბო იმისთვის არის საჭირო, რომ ტანის სხვა და სხვა ნაწილებს უამისოთ გაძლება და მუშაობა არ შეუძლიათ; სითბოს კი ტანს საჭმელი აძლევს. ჭიქით რომ ცხელი წყალი დადვა ოთახში,

რამდენსამე ხანს შემდეგ გაცივდება, რადგანაც სითბოს ჰკარგავს. ადამიანის ტანიც ასევე ჰკარგავს სითბოს და, თუ სამაგიერო არსაი-
დან მოუყიდა, გაცივდება და მოკვდება. საჭმლის დრო გამოშვებით
მიღება კი იმისათვის არის საჭირო, რომ ტანში სითბო გამოუნელო-
ბელი იყოს. შეშამ რომ სითბო მოკცეს, რა უნდა ჰქნათ?—უნდა
დაეწვაო, მიპასუხებ; ახლა მეც გეტყვი: საჭმელმა რომ სითბო მო-
გცეს, ისიც უნდა დაიწვას შენ ტანში.—ვის ატყუებ? წამოიძახებ
შენ:—საჭმელი რომ ჩემ ტანში დაიწვას, ხომ ცეცხლი მომეკიდაო.“
საჭმელი რომ ისე ჩქარა იწოდეს ჩვენ ტანში, როგორც შეშა ბუ-
ხარში, მაშინ რასაკვირველია, ყველას ცეცხლი მოგვეკიდებოდა და
დავიწოდით, მაგრამ საჭმელი ნელ-ნელა იწვის და მხოლოდ იმდენ
სითბოს იძლევა, რამდენიც ჩვენთვის საჭიროა.

ზევით რომ ვითხარი, ტვინს აქაც გაუაღიცივებით უჭირავს თვალ-
ყური, რომ ტანში იმდენი სითბო არ დაგროვდეს, რამდენიც საჭი-
რო კი არა—საზარალოა.

მოთმინება იქონიე, ბარემ ბოლომდის დამივდე ყური და ორი-
ოდ სიტყვას კიდევ გეტყვი, საჭმლის მნიშვნელობის შესახებ. ჩაის-
თან ერთად რომ კარაქს შეექცევი და ყველს ჰურის ლუკმაზე მეტს
ატან, საიდან კეთდება ისინი?—რძიდანო, მიპასუხებ; დიახ, რძეს კი
ძროხა იწველის; ძროხამ თუ კარგი და ბევრი საჭმელი არ ჭამა, ძა-
ლიან ცოტასა და გლახა რძეს გამოიწველის. ბებიამ ეს კარგათ იცის;
ამიტომ გაუშინჯავს ხოლმე სალამოზე ფერდებს ძროხას, ხომ ბევრი
საჭმელი უჭამიანო, რე ერთ ხელგობ ქატოს კიდევ აუზღვს, რომ დილით
ბევრი გამოიწველოს; მაშ ძროხის ჯიქანი საჭმლიდან რძეს ამზადებს.
ამგვართვე ყოველი ცხრველის ტანი საჭმლიდან ბევრნაირ ნივთიე-
რებას ამზადებს სხვა და სხვა საჭიროებისათვის; ზოგი მათგანი შენც
კი იცი; მაგალითათ: ნალეელი, ნერწყვი... აი რამდენი დანიშნულე-
ბა ჰქონია საჭმელს. საჭმლის ერთი წილი შენ საკუთარ სხეულათ
იქცევა, გემატება და შენც იზრდები, მეორე წილი სითბოს აძლევს
ტანს, მესამე წილი სამუშაო ძალ-ლონეს და სხვა... ახლა კი გაუ-
თავებ ჩემ მეორე წერილს; თორემ ვიცი შენი ამბავი, ყურს აღარ
დამივდებ. მთელი ერთი თვე მეც დაკეხსნები და შენც დაისვენებ,
შემდეგ კი ისევ უნდა განვაგრძო: სხვაც რომ არა ვთქვა რა საჭმლის
ამბავი მაინც უნდა მომისმინო ბოლომდის.



ხ ვ ლ ი კ ი.

I.

არიაძობისთვის ერთ შვენეოვ დილას წო-
წოლა რუსი ფერის კვერცხიდან ერთი ჰა-
ტარს არსება გამოძვრა. დედ-მამას არც კი გაუგია მისი
დაბადება და ძეობაც არ გადაუხდიათ; კვერცხსე ერთი წა-
მიც არა მჯდარან და მათ სითბოს არაფერი გაუღენაც არა
ქქონია მის სიცოცხლის მინიჭებაზე. ეს კი იყო, რომ
დედამ ამოჩინა მიწა ოდნავ, ჩადო შიკ კვერცხები, მოა-
ფქვა სუფ ფხვიერი მიწა და მშვიდობით! გაუდგა თავის
გზას! ფიქრათაც აღარ მოსულია რა მოელოდა მის
თესლს. დანარჩენი მსრუნველობა სხვა დედას მიანდო, ბუ-
ნებას. გაჩენისათანავე თითონვე უნდა გასწიოს ამ ჰატა-
რს არსებამ ბრძოლა სიცოცხლისათვის; თითონვე უნდა
დაძლიოს ცხოვრების უოველსავე ვაივაცლახს, თითონვე უნ-
და მოიპოვოს ჰური თვისი არსებისა!

— უი, საცოდავი! მარტოკა უნდა იუვეს ამ ქვეყანა-
ში? დედის ტკბილი ალერსი არ უნდა გაიგონოს? წამოი-
ძახებთ შებრალებით და იკითხავთ:—რა იყო, ნეტავი, ეს
არსება?

— ხელიკი გახლდათ, მაგრამ თქვენ რათა სწუსდებით
იმისთვის? თითონ სრულებითაც არა თვლის თავის თავს

შესაბრალონათ და არც უდებობასა ნაღვლობს. აინუნშიაც არ აგდებს ობლობასა და მარტოხელობას! ან კი რა აქვს სადარდელი? მართალია დედის მზრუნველობას არის მოკლებული, მაგრამ სხვა ჰირუტევებივით უმწეოთ როდი გაუჩენია ის შემოქმედს. იმისი გრძელი ტანი მაგარი ქერტლიანი ტუავით არის დაფარული; მოკლე ფეხები ისეთი მოქნილი აქვს, რომ ჩქარი სირბილი შეუძლია და გრძელი კუდიც კარგ სამსახურს უწევს: სიძარდით დასლიკინებს კედლებზე და დასრიალებს ლიპ სეებზე. თუ აქვს რამე საზრუნავი, ეს მარტო თავშესაფარია, ბინა. მაგრამ ამასედაც დიდი ფიქრი და თავის ტეხა არ მოუნდება ჩვენ ხვლიკს; საცა იქნება თავს შეაფარებს! სწორე კითხრა, თავის მამა-პაპასავით სახლ-კარ-ბინადრობისა და ოჯახობის გაჩენას გამოუდგება! ერთი თავი არ აქვს, კლდეზედაც რო გავიდეს, იქაც დაჩეხება; საცა დაუღამდება, იქ გაუთენდება!

ხვლიკმა მოძებნა ერთ გორაკასთან ჯავნარებში ძეუდრო ალაგი, გაითხარა პატარა ხვრელი და დაბინავდა. ძალიან მოსწონდა და ძეუევარდა ეს თავისი სენაკი. მარტო აქ გრძნობდა თავის თავს უშიშრათ და იშვიათათ შორდებოდა ამ არე-მარეს. ცუდ ამინდებში სომ მთელი დღე და ღამე მიკ ატარებდა დროს. გაჩენის ჰირველ დღიდანვე მიჰყო მან ხელი ჭიებზე და ლოკოკინებზე ნადირობას. უნდა გენახათ, რა თავგამომეტეებული ებრძოდა ძტრებს. რასაც საკბილოს დაატეობდა, მოგვცა ლხენა, ის გულადთ ებკერებოდა და მუცლისაკენ გაამკნავრებდა; თუ არა და — „საცა არა ჯობს, გაცლა ჯობსო“, იფიქრებდა; სი-



ფრთხილით უკან-უკან დანიწევდა და სოროში შესრიალდებოდა... როცა ტანისამოსი — ტყავი სიძველისა გამო დახეობდა, დაუსკდებოდა, — ქვასე წახსახუნებოდა, გაინდიდა და ახალ ტყავს გამოიცვლიდა. რაც ხანში შედიოდა, რამდენჯერმე იცვლიდა სოლმე საფხულობით თავის მწვანე კაბა ჯუბას.

დიღ-დიღით ჩიტიც ვერ აასწრებდა ხელიკს. რიქრ-ქის ღროს იღვიძებდა, გამოვიდოდა თავის სოროდან და მზის ჩასვლამდე დასრიალებდა, საქმიანობდა, მოსვენება არ ჰქონდა: ხან ერთ მწერს შეახრამუნებდა, ხან მეორე ქვეწარმავალს ჩაკვანდა მუცელში; ხან გაიქცეოდა და ბაღახებში შემგრებოდა, ხან თავის კარ-მიღამოს დათვალიერებდა და ასე ფუსჟუსებდა. შუა დღის ხანს რომ მზე თავის მხურვალე სხივებს დააჭერდა ქვეინიერობას, ნახავდით, რომ ის სადმე ხის ტანსე, ან ტოტსე წამოწოლილიყო ნებიურათ და რაღაცას ოცნებობდა, თითქო გრძნობდა, რომ მესეს ძაღვ გამოეყოდა თავისი გამაცოცხლებელი თბილი სხივები.

ასე გადიოდა დღეები. აი საფხულიც მიიწურა. დადგა შემოდგომა. ცას თანდათან სქელი ღრუბლები გადაფარა, ძხემ დაჰკარგა სითბო და ხელიკი ისე სშირათ აღარ გამოდიოდა თავის ოთანხიდან. ღვინობისთვეში ის სრულებით მიიძალა სადღაც; იმისი ასავალ-დასავალიც აღარ ჩანს.

— უი, უბედური! უთუოთ სიცვიით ან შიმშილით ჩაკვდებოდა სადმეო! ისევე წამოიძახებთ თქვენ.

— არა, ფიქრი ნუ გაქვთ! „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს და ისევე გაიღვიძებს“. ის ახლა ხვრელში გაინა-

ბება, გაშტერდება, კარინდდება და გაშეშებული ზამთრის ღრმა ძილს მიეცემა და გასაფხულამდის აღარ გამოიღვიძებს.

— უჰ, ამდენი ძილი გავგონილა?

— მას რა ჰქნას! ზამთარი მოდის, ცივი სისხლის ჰატრონია და შესცივდა. თავისი საკბილო არსებანიც ზოგი დაიძინებს, ზოგი დაიხოცება, ზოგი მიწაში ჩამკვრება და რითი უნდა გამოიკვებოს თავი! ისევ ჯობია თავი დავიწუებას მისცეს და ძილში გაატაროს დრო.

მარტის დამდეგს კათბა დედამიწა და გამოიღვიძა ხვლიკმა. გამოვიდა გარეთ და ახლა უფრო მარჯვით, უფრო მანეთ შეუდგა თავის საქმეს. ერთი მუცლის მაგივრათ ცხრა მუცელი ვაიხადა. რაც ხანი ეძინა და მარხულობდა, ახლა იმის აზამბარში უნდა გამოვიდეს!

II.

ასე მხიარულათ და თავასუფლათ ცხოვრებდა ჩვენი ხვლიკი; მაგრამ ერთხელ საშინელი სიფათი შეემთხვა საცოდავს. საფხულის დღე იყო. ნოეიერი სადილით გამაძღარი წამოწოლილიყო მზის გულზე და იხუხებოდა. ამ დროს დაინახა, რომ იმის წინ ვიღაც კაცი დგას. შიშისაგან ცახცახი დაიწყო, როდესაც ამ უსაზრმა-მასარმა დევ-გმირმა იმის ახლოს დედა-მიწას ჯოხით ცემა დაუწყო. დევ-გმირის სასარელი ხმაურობა და დედამიწასე ჯოხის ცემა ჰქექ-ქუხილის ხმა და ქვეყნის დაქცევა ეგონა თითის ტოლად ხვლიკს და შიშით თავბრუ დაეხვა, დაუთრები დაეკარგა, ფეხები შეეკრა და უწინააღმდეგოთ დამორჩილდა თა-





ვის სულთამსუთავს და განდა ტყვე ერთი კაცისა, რომელიც ცხოველთა თვისების მეთვალ-უურე იყო. ამ მეცნიერმა წაიუვანა სვლიკი შორს ქვეყანაში!

— ვაი, საწყალი! ახლა კი მოსულია აღსასრულის დღე! როგორ აიტანს ამოდენა მოგზაურობის ვაი-ვაგლახს და გაჭირვებას? ან რა გააძლებინებს უცხო მხარეში? ან გზაში ჩაკვდება სადმე და ან დაჭლეკდება მწუსარებით, რომ თავის სამშობლოს მოაშორეს!..

— აარა, ნუ გეძინია! არც ავრე აზიზი და ლაჩარი კახლავს!

ბაღში რომ მიიუვანეს, მართალია, ცოტა მოუძღურებულყო, დასუსტებულყო; მაგრამ ძალე მოჯობინდა და ადვილათ შეეჩვია თავის ახალ მდგომარეობას. მანც სულ ერთი არ იყო იმისთვის, საცა უნდა ეცხოვრა! სვრელი აქაც მოძებნა თავისთვის, მზე აქაც ალერსიანათ უნათებდა და ათობდა; საჭმელი სომ, რასაც აქ ამღვედენ, ძალიან გემრიელათ ეჩვენა და სხვა რაღა უნდოდა? მე ძენ გითხრა, დედ-ძამას გაეტირებოდა, და-ძმა დანანდებოდა! ვინ ჰქვავდა, — ვისთვის იწუსებდა; რა ჰქონდა, — რას ჰკარგავდა?..

სვლიკი ჩინებულათ გრძნობდა თავის თავს ახალ ბინაზე. ჰირველ ხანებში კი გაუბედავათ იყო, რადგანაც კარეშემო სულ უცხო საგნებს ჰხედავდა და ვეღაფერი უცხო მას აშინებდა და მუდამ იმალებოდა.

თავისი სილამაზითა და სიმკვირცხლით სვლიკმა ძალე მიიპერო ჰატრონის უურადლება, რომელიც ცდილობდა დაახლოებით გაეცნო ის, მაგრამ სვლიკი, სათოფეზედაც ვერ მიიკარა. კაცის მიახლოება და იმისი სვრელში შესრიალება ერთი იყო... კაცმა გადაწვიტა იმისი შეჩვევა და აასრულა კიდევ. ერთხელ სვლიკი წამომჯდარყო მხის გულზე და თებოდა. უეცრათ მოჰკრა თვალი კაცს და მოი-

მართა გასაქცევათ. „მოითმინე, მოითმინე, ახლა კი ვერ-
სად წამიხვალ, უთუოთ უნდა დაგიჭიროვო“, მიაძახა ჰატ-
რონმა და გამოუდგა. წინ სვლიკი უკან ჰატრონი. რო-
გორც იყო, მიიმწევედია ბადის კედელთან. სვლიკი დაფა-
ცურდა, რომ თავისთვის ეშველა, განძრევის გზა აღა-
რს ჰქონდა, საშველი არსაით იყო და უნდა დამორჩი-
ლებოდა... მაგრამ უსისხლოთ დამორჩილებაც ითაკილა
ჩვენმა სვლიკმა და გადასწევიტა შებრძოლებოდა ად-მიანს,
თავისზე დიდსა და ღონიერ არსებას! იმან დააღო ჰირი
და მრისხანებისაგან ანთებული თვალებით აცოცდა შუა
კედლაში; აქ მოიმაგრა ფეხები, „ან სიცოცხლე, ან სი-
კვდილიო“, გადასწევიტა და მოემხადა საბრძოლველათ.
როცა ჰატრონმა გაუწოდა ხელი დასაჭერათ, ის გაცოფე-
ბული სწვდა თითში, მოკვიდა წურბელასავით, დასუჭა თვა-
ლები და ჩაუჭირა კბილები. კაცდი ხელს არ ანძრევედა,
როდესაც სვლიკს ამ ბრმა სიცოფემ გადაუარა და თავის ნებით
მოაშორა ჰირი თითს, კაცმა ჯერ კიდევ სიბრახისაგან
დაღებულ ჰირში კაი მსუქანი ჭია ჩაუღო. გაჯავრებულმა
სვლიკმა ამასაც მოუჭირა ჰირი და... მოდი და ნუ შეც-
დები, კემრიელმა ჭიამ ჰირში ნერწევი მოჭკვარა და ჩა-
ელაზა! ჩაელაზა და საჩქაროთ ჯაგებში შესრიალდა. სვლი-
კი ამას შემდეგ დაფიქრდა, კონს მოვიდა და ჰატრონზე
გული მოიბრუნა. ჰურ-მარლის დიდი ძალა აქვს, მეორე
დღეს ზდილობიანათ ჩამოართვა თავის ჰატრონს რამდენ-
ნიმე ლუკმა ჭია, რომელიც იმან შესთავაზა. ეს იყო და
ეს. „ბიჭოს! არც ისე საშიში და ბოროტი უნდა იყვეს
ეს ვილაც გოლიათია, როგორც მე მეკონაო, — იფიქრა
სვლიკმა და სრულებით მიენდო. ამას შემდეგ არა თუ
აღარ ერიდებოდა და აღარ გარბოდა იმის დანახვაზე, ხე-
ლიდან საჭმელებს სტაცებდა და, — დახე გულის გაბედვა-



სა! — გამოწვდილ ხელის გულზედაც აცოცდებოდა! სული-
კსა და კაცს შუა მეგობრობა ჩამოვარდა. „გველსა ხერ-
ლით გამოიყვანს ენა ტებილათ მოუბარიო“, ტყვილათ კი
არ არის ნათქვამი. ხულიკი ახლა ჰატრონიისკენ გარბოდა
და საალერსოთ, ხელში სატრიალებლათ ნებდებოდა, რად-
განაც დარწმუნებული იყო, რომ ჰატრონი ამ გვარ მორ-
ჩილებინათვის მსუქან-მსუქანი ჭიებით დააჯილდოებდა.
წამდენსამე ხანს შეძლეგ ხულიკი სტოლზედაც ადიოდა,
სადაც მომხადებულ საჭმელებს მოურიდებლათ არჩევას
დაუწყებდა. ის ხან-და-ხან ჰატრონს ტანისამოსზე მოე-
ლაუჭებოდა, მხარზე აცოცდებოდა, აქედან მკლავზე ჩაჭ-
ყვებოდა, ხელის გულზე დასკუჭდებოდა და უცდიდა, სა-
ნამ ჰატრონი რითიყე პირს არ ჩაატკბარუნებინებდა. ამ
კაცს რომ სხვა ხულიკისათვის მიექცია ყურადღება და ჰა-
ტივი ეცა, იმის სამდურავს, სიბრახესა და უკმაყოფილე-
ბას სახლვარი არა ჰქონდა. შურით ავსილია თვალებით
მოიკაკვებოდა, წინა თათებზე აიუაყვებოდა, მოუბრუნდ-
ებოდა თავის მეტოქეს და ერთ ეოფას დაუწევდა. მტერი
ამ დროს ან გაექცეოდა, ან ისიც ჰასუსის საკებლათ მო-
ემხადებოდა! მაშინ უნდა გენახათ იმათი სეირი! დაიწყებ-
დენ ერთი მეორის გარეშე მოტრიალს, გორბობდენ დედა-
ძიწასე და ბოლოს ერთმანეთს ეტკერებოდენ. შეძლეგ ერთ-
ერთი გააქცეოდა, მეორე გამოუდგებოდა, შეძვრებოდენ
ჯაგებში, მოისმოდა შრიალი, ფაცი-ფუცი და ბოლოს
სინიშე ჩამოვარდებოდა. ამ გვარ შეტაკების დროს უფრო
ხშირათ გამარჯვება ჩვენი ხულიკისაკენ იყო ხოლმე, რად-
განაც თავისი მეგობრისა და ქომაგის დანახვა იმას დო-
ნესა და გამბედაობას აძლევდა.

ასე მიდიოდენ წლები. ეოველ შემოდგომასე ხულიკი სადმე
იმალებოდა, სამთრის ძილს მიეცემოდა და გაზაფხულზე

ეველასე უწინარეს თავის მეგობარს სალამს ის მიუძღვნა ხოლმე. მაგრამ ბოლოს სიბერემ იმასაც თავისი დანდა დაჰკრა. დროს განმავლობაში ხვლიკს ფერი გადაუვიდა, კაბა გაუხუნდა, ტყავი დაუჭკანა, დაუსორავიჭდა და გაუმაგრდა; თვალები აემღვრა, ჩაეჭრა; ჯან-ღანემ უკლო, გული გაუჟდა, სისხნტე შეეპარა და ეველასე გულგრილათ ექცეოდა. ერთხელ ჩხუბის დროს ნახევარი კუდიც მოწედა და თუშცა ისევ წამოეყარდა, მაგრამ წინანდელი სიკრძისა კი ვეღარა. ამ უკუდობამაც იმის ცქვიტ მიხვრა-მოხვრაზე ძალიან ცუდი გავლენა იქონია.

მეოთხე წელიწადია ჩვენი ხვლიკის ამ ბაღში უოფნა. ახლა იმას ნამდვილი ბებრის ელფერი და შესედულობა დაეღვა. ხანტათ დაღოლაჟდა და მსოფოთ მაშინა სჭამდა, როცა სამადლოთ რასმე მიაწოდებდენ. თავის ჰატრონთან კი ისევ ისეთივე მეგობრული განწყობილება დარჩა, როგორც სიუმაწვილის დროს ჰქონდა. მარტო იმისი დანახვა მოაცოცხლებდა და გამოაფხიზლებდა ხოლმე, უამისოთ კი მთელ დღეობით ეგდო ჰირქვე მზის გულზე უურებ ჩამოყრილი და კუდი გვერდზე ვერ მიეღო. რა კი მსე გადაიწვერებოდა, ტაატით წალოდალდებოდა თავის სკრელისაკენ, დაეკლებოდა და თვლებდა.

აი, მესუთე სამთრის ძილისათვის მოემხადა ჩვენი ხვლიკი.

— ეგ არის, ახლა კი მკონი საუკუნოთ დაიძინებს საწებლი და ვეღარ ეღიწება სკრელიდან გამოსვლასაო! ჰფურობდა ჰატრონი. მაგრამ არა! გასაფხულზე ერთხელ კიდევ გამოეთრია წელ-გულ მოწვევითი ბებრუცანა, რომ უკანასკნელათ დაენახა მზის სხივი, უკანასკნელი სალამი მიეცა თავის მეგობარ, ერთგული კაცისათვის.

საპირველბანი გუნებისა.

№ 14 ჭინჭარი



ქნება გეცინება, მკითხველო, კიდევ გუნებაში ამ საწუალი ჭინჭრის სსენებაზე, მაგრამ ეკ არაფერია. სომ გაგიგონია ანდასა,— შინაურ ძღვდელს

შენდობა არა აქვსო. ასეა სწორეთ ჩვენი ჭინჭრის საქმეც.


ჭინჭარი ჩვენი შინაური ბალახია; არ ვიცნობთ კარგათ და სრულად უსარგებლოთ მიგვაჩნია; ვიცით მხოლოდ ის, რომ ჭინჭარი ძალიან სუსხიანი მცენარეა. ამისათვის ეს საწუალი უველასა სძულს, უველასგან ათვალწუნებულია, აბუჩათ აგდებულია.

თუ ამოვა, ამოვა სადმე ღობის ძირას, მუჟალსა და ასკილის სიხსლოვეს ან სხვა ეკლიან ბალახებში. რიგთან ადგილებში ვერ გაჭებდავს ამოსვლას, — ძირიანათ ამოთხრიან და ამოაგდებენ.

ჭინჭარი არ არის იმდენათ გამოუსადეგარი მცენარე, როგორც ეს ჩვენა გვეგონია. ჭინჭრისას აკეთებენ ქაღალდს, ჭინჭრისას აკეთებენ სხვა და სხვა ქსოვილებს; ჭინჭრის ძირი იხმარება უვითელი უფრის საღებავათ; ჭინჭარი, გამხმარი, ჩინებული საკვებავია საქონლისათვის. ჩვენში კი ჭინჭრისას თუ მოჭხარშვენ მხალს და ისიც მარტო ღარიბი კაციის სახლში, თორემ სხვაფრივ არაფერში არ იციან იმისი გამოყენება.

მაგრამ დაჯანებოთ ამას თავი, ჭინჭარი სხვაფრივ არის უფრო შეიანიშნავი.


ჭინჭარს ფოთლებზე ასსია ერთნაირი წვრილი ბუსუსები. მისვდი შენ უთუოთ, ეს რაც ბუსუსებია. ეს არის



ის, რომელიცა გვწვავს და გვიღუღუღებს ტიტველს ხელებს, თუ გაუფრთხილებლივ შევასეთ მას ხელი. ეს იმისი იარაღია: ამითი იგერებს თავის მტრებს, ვინც გაუბედავს მას შეურაცხყოფას, ვინც მოინდომებს მის დაჩაგვრასა და დაბრეყებას, ამისი ვრიდება კაცს და ღვენის, ამისი ემინიან საქონელს და ვერა ჰბედავს მის მოძოვნას.

აბა ახლად მოვწვივით ცოტა სიფრთხილით ერთი ღერი ჭინჭარი და რიგანათ დავათვალიეროთ ეს მისი საომარი იარაღი.

აი ჩვენცა გვაქვს აქ გამოსახული მისი ბუსუსები სწორეთ ისე, როგორც ნამდვილათ ასხია ხოლმე ჭინჭრის ფოთლებს. ბუსუსი თავის თავათ ძალიან წვრილია და მეტის მეტი ნებიერი. მიგნიდან სრულიად ფუევა და ძირიდან წვერამდე მოსდევს სიგრძის ხვრელი, რომელიც თანდათან უფრო და უფრო წვრილდება. ძირი აქვს განიერი, ბუშტივით მდრეკი და შხამით სავსე. წვერში აბია მრგვალი თავი,



ა, ჭინჭრის ფოთლის ბუსუსები ბ, რომელიც სულ უბრბლო ხელის შეხვეცაჲ ბუსუსი მრგვალი წვერით
 ბ, იგივე ბუსუსი წვერ წაცენილი ბაჲე მოტყდება და მოვარდება ხოლმე.
 (150-ჯერ არის გადიდებული).

შეახებ თუ არა ხელს ბუსუსს, ბუსუსს თავი მოვარდება, წვერ წაცენილი ბუსუსი ხელში ნემსივით გეჩხვლიტება და ბუსუსის ძირი იმ ნახვლეტში თავის შხამს შეაშხაუნებს.



მ ზ ა რ ე უ ლ ი .

(იგაეი)

მზარეული ახალ ბინაზე დადგა და ბატონს ჰირობა მისცა: იმისთანა გემრიელი საჭმელები გიკეთოთ, რომ უკეთესი აღარ შეიძლებოდესო. ჰირველ დღეს გააკეთებინეს საჭმელი, — ძლახე მოუვიდა. უსაუვედურეს: „ეს რა გიქნია, საჭმელი ჰირში არ ჩაიშვებაო“.

— მარლი მეტი მომივიდა, თორემ სხვაფრივ უკეთესი არ შეიძლებაო, მიუგო მზარეულმა.

მორე დღეს სხვა საჭმელი შეუკეთეს; ეს კიდევ მეტის-მეტათ მეავე მოუვიდა. „კაცო, ისე დაგიმჯავებია, რომ ჰირსა თუთქავს“, უსაუვედურბ ისევ ბატონმა.

— სიმჯავე რომ მეტი არ მომსულოდა, სხვაფრივ უკეთესი არ შეიძლებაო, იმართლებდა თავს მზარეული.

გაკეთებინეს საჭმელი მესამე დღესაც. ახლბ წამელი-ლი მოუვიდა. „კაცო, რა დაგმართებია, საჭმელი სულ დაგიწვავს, იმის ჭამა შეუძლებელია“, უსაუვედურეს კიდევ მზარეულს.

— ცუცხლი რომ მეტი არ მოსულოდა, ამის უმჯობეს საჭმელს კაცი ვერ წარმოიდგენსო, მიუგო მზარეულმა.

„ჩემო ძმაო“, უთხრა მოთმინებიდან გამოსულმა ბატონმა: „როგორც ვხედავ, შენზე უკეთესი მხარეული ქვეყანაზე არ იქნებოდა, რომ საჭმლის კეთებაში მეტ-ნაკლებობა არ იცოდე, ვეღვაფერს რიგისა და წესისამებრ ამჯადებდე! ახლა კი, ღმერთმა მშვიდობა მოგცეს, მე თავი დამანებე და ვინაც მლძე, მკავე და დამწვარი საჭმელი უყვარდეს, იმას დაუდექ მხარეულთაო“.

აღ. მ — შეილი.

სტუმარი და ქოფაკი.

o g a k o

სტუმარი გამოვიდა მასწინძლის ეზოდან და გაუდგა გზას შინ წასასვლელათ. მას გამოესია, გამოედევნა უხარმახარი ქოფაკი. ურბენს გარს ეფუთ ეს ძაღლი სტუმარს; ხან მარჯვნივ მოექცევა, ხან მარცხნივ, ხან წინ, ხან უკან; ზოგჯერ შედგება უკანა ფეხებზე და ლამობს ეულის გამოღადვრას, ზოგჯერ თავის ბასრ კბილებს ფეხებისკენ მიუმიზნებს.

შეწუნდა, შეშფოთდა სტუმარი და, ბოლოს, მოთმინებიდან გამოსულმა, განრისხებით უთხრა ძაღლს:

— უგუნურო, ბრიუო! სად დაგიკარგავს სინიღისი? შენმა ზატრონმა არაფერი დაზოგა ჩემი ზატვიისცემისათვის, რა დროება გამატარებინა, რა სიამოვნება მაჩვენა და შენ კი ასე შემწუნე, დამტანჯე, ლამის შემჭამო კიდევ! ცოტათი მაინც მიჭბამე შენ შემნახველს: გულ-კეთილობა და სტუმართ-მოყვარეობა ვეღვას დააშვენებს.


— ძლიერ ცდები, ბატონო, მიუგო ძაღლმა: კეთილი და მშვიდობის მოყვარე ძაღლი ბევრი მინახავს, რომ ზატრონს თოფით მოეკლას; ჩემი სიავე მაჭმევს ლუკმა-ზურს და ზატრონსაც ვუყვარვარ მხოლოდ ბასრი კბილებისთვის.

აღ. მ — შეილი.

ხ ა ლ ხ უ რ ი

(გაგონილი მათა ახობაძის ქალისაგან; ჩაწერილი ლადო იაშვილისაგან).

მას რომ აპრილი შეიტყობს —
 ულვაშებში გაიღრეჭსა:
 — ბეჩა, მარტო, ნუ თუ ამბობ,
 რომ შეილი ჰყავს დედა შენსა!..
 მე ჰამაშიც არ დავიჯენ
 შენისთანა ჰკუა თხელსა;
 დღეში ათჯერ გავიქლები,
 ათჯერ გამოიცივლი ფერსა.
 წელიწადში ვერვინ ჰპოვებს
 შენისთანა პირ-მყრალ თვესა!..
 — მარტმა სთქვა, რაზან აგრეა
 გავარიგებ შენ საქმესა —
 თუ მე საქმეს არ ვაკეთებ,
 გაცემინებ თავში ხელსა,
 ისე მოვწვავ ყოველ ნაყოფს
 ნათესიც კი არ დარჩესა!..
 — მარტო, მართლა არ გაბრიყვდე,
 ვიხუმრე და გავრიკდეთა:
 მწვანე ბალახს მე მოვიყვან,
 მუნთან ცხენს მოგიჩინესა..
 — მარტმა სთქვა: მე ხვალ მიედივარ,
 თუ არ მოჩინეს ე ჩემ ფენსა.
 — ყველა ფენზე ავიკიდა,
 უყურეთ ამ საძაგელსა...
 მაგის მხერა არ გვარგია
 ჩვენ-ჩვენ საქმეს დავადგეთა



აკროსტიხები.

(წარმოდგენილი ვაჟა-ფშაველასაგან).

კარ-მიდამოში ხშირათა ნახავთ,
აჭრიალდება ფერითა ჭრელი:
ჭირს თავს არ მისცემს, მუდამ ლალია —
კრუხ-წიწილისა მოსისხლე მტერი.
არვის დაინდობს, მეტათ ქურდია
ჭირია ბეჭედ-ქინძისთავ სა.
ილაპარაკებს, თუ დაატყვევებ,
აბა გაიგე სახელი მისა.

დიდ-ფაშეიანი, თვალეზ ბრიალა
იყო ერთ დროსა მსაჯული ჩვენი,
არ შეხედავდა მოჩივარს სწორეთ
მრისხანე სახის მელურათ მჩენი.
ბატონი კარგი: იმის მოწყალე —
ესტუმრებოდა რომელიც ძღვენითა,
გამტყუნებდა ალალ-მართალსა
იგი შუბლ შეკვრით, მალალი ხმითა.

შ ა ი რ ე ბ ი.

(წარმოდგენილი მოსწ. ი. ბუნდაძისაგან)


ფადიაურო მკეცხარო,
სუქანს სჭამ, მაგრამ მჭლევ ხარო.
ერსთანმე ჩხუბი მოგივა,
სუყველას ძირსა შენ ხარო.

ჭირვეულობას გიზრახვენ
მკეცხარი ნუ ხარ, დადექო,
კარში გასასვლელს დაგიკვეთ,
თუ მე სალექსოთ ავდექო.

რებუსი


(წარმოდგენილი არჩილ ჯაფანაშვილისგან)

მ¹/₃ საუ. 'მ 100'თ




საფეხულში სად
ჯვარს ცხვარება?

შ
ო
ფ



'
ბ
ი



'
ბ

ღონე

'
ო
ბ
ნ

შუეს რა
ეკიდება?


'
ს

გლეხი თავადს
რატომ ეძახის?

'
ბ
ს
მ
ე



'
რ



კავშირი

მ



'
კ
ი
რ

ფლავის
რუსივარი

'
მ
ლ







პატარა
მდინარე

ტანის ერთი
ნაწილი

ქაღის
სასული



ს შუბლდუღში რას
ხადებთ?



მთაზე რომ ახვად
რას გზას აიკვლი?

ის ხნ
დრეუბელთ
წინამძღვა-
რი



№ III გამოცანებისა.

გამოცანები: 1) ცასარტყელა, 2) ქალი და მისი შვილი,
3) ქული, 4) თხუნელა (მუღო).

მათემატიკური გამოცანა: კვერცი 60 — „ 60 კაპ.
ბატი 7 — 2 მ. 80 კაპ.
ქათამი 33 — 6 მ. 60 კაპ.

სულ შეადგენს ათ მანეთს (10 მან).

უჯრების ამოცანა: კარგი ჩვენც მოგვეწონება, ავი არც
თავის დედასა.

შარადა: ხელ-მწიფე.

მათემატიკური გამოცანა ახსნა: სოფ. აკეთის სკოლის მოსწავ-
ლემ ელასი წულაძემ.



საქმეწვილო ნახატებიანი ჟურნალი

„ქ ე ჯ ი ლ ი“

წელიწადი მესხრა

გამოვა 1898 წელს თვეში ერთხელ იმავე პროგრამით, როგორათაც აქამდის.

1898 წლის ხელის მომწერლებს საჩუქრათ დაუბრუნდებთ ნახატებიანი წიგნი „ალბომი“ ცხოველთა ცხოვრებიდან.

ჟურნალი „ჯეჯილი“ თფილისში დატარებით ღირს—4 მან. თფილისს გარეშე გავზენით 5 მან.

ცალკე ნომრის ფასი თფილისში არის 50 კაპ.

ხელისმოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარი წლით.

ხელისმოწერა მიიღება:

1) თბილისში—წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში (Дворцовая ул., д. Зем. Банка № 102), და თვით „ჯეჯილის“ რედაქციაში (Артиллер. ул. д. Тамамшева, возлѣ кадетскаго корпуса).

2) ქუთაისში—მ. ბეჟანეიშვილთან,

3) გორში—არ. კალანდაძესთან.

4) ზიათურაში—მ. ოთხმეზურთან.

5) სიღნაღში—ივან. ქიტიაშვილთან.

6) საჩხერაში—ქარამან ჩხეიძესთან.

7) ელისავეტოპოლში: ა. მიქაბერიძესთან.

8) თიონეთში—ივ. ჩიბალაიშვილთან.

9) ონში—ღარია ივ. ქვეთარაძისასთან.

10) ფოთში—ი. ქახრიძესთან.

11) ხაზურში—ზენ. მესხისთან.

12) ჰვირილაში—ივ. არღიშვილთან და ალ. არაბიძესთან.

13) მიხაილოვში—გენტ. მესხთან

ფოსტის აღრესი: *Во Тифлисе, въ редакцію грузинскаго опыткаго журнала „Джеджили“.*